№ 2949
კვირა,
13 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2949
კვირა,
13 ნოემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა°. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა. არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—27)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი
სთხოვს გუბერნიის თავადთა და აზნაურთ მობრძანდნენ **თავად-აზნაურობის საგუბერნიო საგანგებო კრებაზე**, რომელიც მოხდება 19 ამა ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, სათავ.-აზნაურო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე. (3—3)

„ალაზანი"
კახეთის მევენახეთა ამხანაგობამ
დაიწყო ღვინით ვაჭრობა. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116, ტელეფონი 792 (10—8)

კვირას, 13 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ბარიათინსკის ქ.) დანიშნულია **საზოგადო კრება „სახალხო კითხვათა გამმართველ საზოგადოების" წევრებისა.** განსახილველი საგნები: 1) საზოგადოების ახალ წევრთა მიღება, 2) საზოგადოების მოღვაწეობის ანგარიშების წაკითხვა, 3) მომავალ წლის პროგრამმის განხილვა და 4) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევა (1—1)

ა. პ. შულგინა-მეახი
გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. (თვ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—25)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—28)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 11, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოს 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
მ. პ. გეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—10)

ტფილისი, 13 ნოემბერი.

ახალი საგლეხო კანონი. გლეხთა აწინდელს მოძრაობას რუსეთის მთავრობა, როგორც ყოველთვის, ორ გვარად ებრძვის: ერთის მხრივ ცოტაოდენს უთმობს, რათა საბრძოლველად დარაზმულ ხალხის წრეებში გასტეხოს სურვილი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისა, და მეორის მხრივ აძლიერებს კანონების სიმკაცრეს იქ, სადაც მოძრაობამ უკვე აქტიურად იჩინა თავი, რათა მათრახის და ხიშტის წინაშე შიშმა აღმოჰფხვრას აშფოთებულ ადამიანის გულიდან იმედი საკუთარის ძალღონით მდგომარეობის გაუმჯობესებისა. ეს ძველი და ბევრჯელ ნაცადი საშუალება ხალხის მოძრაობის ჩასაქრობად ეხლანდელმა მთავრობამ გლეხების წინააღმდეგაც იხმარა.

თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოცხადდა თითქმის განუსაზღვრელის უფლებებით შეჭურვილ გენერალ-ადიუტანტობის შემოღება სამს აჯანყებულს გუბერნიაში, გაძლიერებულ დაცვის წესების შემოღება რამდენსამე სხვა გუბერნიაში და კანონი გამოსასყიდ გადასახადების შემცირებისა და 1907 წლიდან სრულიად გაუქმების შესახებ. გენერალ-ადიუტანტობამ და გაძლიერებულმა წესებმა ხალხს შიში უნდა მისცეს, ხოლო გამოსასყიდ გადასახადების გაუქმებამ უნდა გასტეხოს წინააღმდეგობის და თვითმოქმედების სურვილი, ორივემ ერთად კი სიწყნარე და მშვიდობა უნდა ჩამოაგდოს. როგორც ყოველთვის, დღესაც ჩვენი მთავრობა მხოლოდ სიწყნარის დასამყარებლად მუშაობს, მხოლოდ სიწყნარეზე მზრუნველობს, რადგან იმას ისე არაფრისა ეშინიან, როგორც ხალხის თვითმოქმედებისა.

გამოსასყიდ გადასახადების განახევრებას 1906 წლიდან და მათს სრულს გაუქმებას 1907 წლიდან რუსეთის პრესსის მომეტებული ნაწილი თითქოს კმაყოფილებით და სიამოვნებით მიეგება. ამ საგნის შესახებ ჩვენ ცოტა სხვა აზრისა ვართ.

როგორც 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ვწერდით, ხალხის პირველი მოთხოვნა, რომ რუსეთის კანონმდებლობის ბედი „განუზომელ განგებისაგან" დამოკიდებული აღარ ყოფილიყო და ხალხის მისწრაფებას დაჰქვემდებარებოდა, ეს მოთხოვნა აღსრულებულ იქმნა: 17 ოქტომბერს გამოეცხადა რუსეთის ხალხს, რომ ამიერიდან არც ერთი კანონ-პროექტი კანონის ძალას არ მიიღებს, ვიდრე სახელმწიფო სათათბიროსაგან მოწონებულ არ იქნებაო. მაგრამ არ გასულა ამის შემდეგ ერთი თვეც, არ გამოცხადებულა ჯერ სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეც-კი და საგლეხო საქმის შესახებ უკვე ახალი კანონია ძალაში შესული, რომლის აღსრულებაც 1906 და 1907 წლებში უნდა მოხდეს, ე. ი. იმ დროს, როდესაც სახელმწიფო სათათბირო თუ სხვა რამ წარმომადგენლობითი დაწესებულება განხორციელებული იქნება. ცხადია, ჯერ-ჯერობით კანონები ისევ „განუზომელ განგებაზეა" დამოკიდებული, ეხლანდელი მთავრობა ისევ წინანდელს ჩვეულებაზე აწარმოებს საკანონმდებლო მანქანას და ვინ იცის, როდისთვის აპირობს იგი „ახალი რეჟიმი" შემოიღოს.

ეს ფორმალური მხარე საქმისა ჩვენ საჭიროდ მივაჩნია აღვნიშნოთ, რადგან ახალი კანონი გლეხების შესახებ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, ვითომც იგი ძირიან-ფესვიანად სცვლის გლეხთა მდგომარეობას, მაგრამ ნამდვილად-კი ეს მდგომარეობა ისევ „განუზომელ განგებაზეა" დამოკიდებული.

თქმა არ უნდა, გამოსასყიდი გადასახადები მძიმე და უსამართლო ტვირთი იყო მშრომელ ხალხისთვის, თქმა არ უნდა, იმის გაუქმება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგრამ გაუქმება ნამდვილი, რეალური და არა მხოლოდ სიტყვიერი და გარეგნობითი. ცხადია, გამოსასყიდ გადასახადების გაუქმება მარტოოდენ სახელწოდების შეცვლა იქნება, თუ ეხლანდელ ოთხმოცდა ათ მილიონის ნაცვლად, რომელსაც გლეხობა იხდის გამოსასყიდ გადასახადების სახელით, სხვა ოთხმოცდა ათი მილიონი მანათი დაეკისრა, როგორც სხვა რამ სახელმწიფო გადასახადი პირდაპირი ანუ არა პირდაპირი. სახელმწიფო ფინანსები მეტად რთული სხეულია, რომ იმისი აგებულება მარტივად და სადად შეიცვალოს ერთის რომელისამე ტოტის მოჭრით: რუსეთის ფინანსების ისტორია გვიმტკიცებს, რომ ერთ ჩამოჭრილ ტოტის ადგილზე ხშირად ორი და სამი უფრო მაგარი ტოტი ამოხეთქავს ხოლმე თავს. მართლაც, რას მოიგებს რუსეთის გლეხობა, თუ გამოსასყიდ გადასახადთა გაუქმების გამო გაადიდებენ „ნალოგებს" გლეხის ოჯახში სახმარს საგნებზე, როგორც ეს ეკონომიის დეპარტამენტს განუზრახავს? ცხადია, მოგება მხოლოდ სიტყვიერი, მხოლოდ სახელით იქნება და არა სახრავით.

რუსეთის სახელმწიფო ფინანსები ძველის რეჟიმის მსახურებმა ძველ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებას შეუფარდეს; ამ ფინანსების ნაწილები ერთი-ერთმანეთის ადგილას ძალიან ადვილად გადისხმ-გადმოისხმებიან, მაგრამ არსებითად-კი საფინანსო სისტემა ისევ მშრომელ ხალხის და განსაკუთრებით-კი გლეხობის უზომო ექსპლოატაციაზე იქნება დამყარებული, ვიდრე ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლება ეხლანდელი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა, თანახმად მთელის რუსეთის პროგრესსიულ ნაწილის სურვილისა.

ამგვარად, ახალი კანონი გლეხთა მდგომარეობის შესახებ ჩვენ არც გვახარებს და არც გვაწუხებს. ჩვენის ფიქრით, აქ ახალი მხოლოდ სიტყვაა და არა საქმე, მაგრამ არ შეგვიძლიან არ მოვაგონოთ მკითხველებს, რომ ვიდრე გამოცხადდებოდა მანიფესტი თვითმპყრობელობის უარყოფის შესახებ, რუსეთის ბიუროკრატია მრავალგზის სცდილობდა საბჭოების, კომისსიების და კომიტეტების დაარსებით დაეფარა საჭიროება ძირითად კანონის გაუქმებისა. ძირითადი კანონი საკანონმდებლო მოქმედების შესახებ გაუქმდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხმა თავის მოძრაობით დაამტკიცა, რომ სიტყვებით იგი ველარ მოიტყუებს თავს. ეხლა ჯერი ძველ საფინანსო სისტემასა და გლეხთა მდგომარეობაზე მიდგა: გამოსასყიდ გადასახადთა გაუქმების კანონს სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს: ეს კანონი ამოწმებს, რომ გლეხთა ეხლანდელმა შეგნებულმა მოძრაობამ ბოლო უნდა მოუღოს მშრომელ ხალხის ექსპლოატაციაზე დამყარებულ საფინანსო სისტემას და ძირიან-ფესვიანად შესცვალოს გლეხობის აწინდელი ეკონომიური მდგომარეობა.

დასასრულ ორიოდე სიტყვა საქართველოს გლეხობის შესახებ. გამოსასყიდ გადასახადების ნაცვლად მომეტებული ნაწილი საქართველოს გლეხებისა იხდის სხვა და სხვა გადასახადს მემამულის სასარგებლოდ, როგორც წინანდელ ბატონის „დროებითი ვალდებული". რუსეთში 1883 წელს დროებითი ვალდებულობა გაუქმებულ იქმნა და სამაგიეროდ გლეხებს დააკისრეს გამოსასყიდი გადასახადები; ჩვენ ქვეყანაზე ეს კანონი დღევანდლამდე გავრცელებული არ არის, ასე რომ დიდი ნაწილი ქართველის გლეხობისა ეხლაც და ახალ კანონის გამოცემის შემდეგაც იმავ პირობებში რჩება, რომელშიაც 1864 წელს იმყოფებოდა.

* * *

ლიბერალებმა თავი წამოჰყვეს. უკვე ვწერდით, რომ რუსეთის რევოლიუციაში ახალი ხანა დაიწყოო. აქამდის მოძრაობის ლოზუნგად მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლება იყო, ეხლა კი, როცა გლეხობაც გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე, რევოლიუციამ სოციალური ხასიათი მიიღო. აქ თავდება ბურჟუაზიის და მშრომელ ხალხის შეთანხმება. აქ ბრძოლა რთულდება და სულ სხვა ხასიათს იღებს. აქამდის მოძრაობა მიმართული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ეხლა კი პროგრესიული ძალები ორად გაიყვნენ: ერთმა ნაწილმა მარჯვნივ მიიწია, მეორემ კი შეუტია მთელ ბურჟუაზიულ წესწყობილებას. წინადვე მოველოდით, რომ ეგრედ წოდებული კონსტიტუციონური პარტია და ერობის წარმომადგენელნი, გაიგებდნენ თუ არა, რომ გლეხობა წამოვიდაო, მთავრობის კალთას ამოეფარებოდნენ, მაგრამ თუ ეს ასე მალე და საჩქაროდ მოხდებოდა, არ გვეგონა.

დღეს, როგორც მკითხველიც დაინახავს, დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, რომ ერობათა წარმომადგენლებს დაუდგენიათ უარ-ჰყონ დამფუძნებელ კრების საჭიროება, თუ სახელმწიფო სათათბიროს დამფუძნებელ კრების უფლება ექნება, და დასთანხმდნენ მხოლოდ პირდაპირ კენჭის ყრას. სადღაა მათი რიხიანი ყვირილი საყოველთაო, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრის შესახებ. პირდაპირ კენჭის ყრას ხომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ იგი ფარული და თანასწორი არ იქმნება. განა შეიძლება ასე მალე თავის ნათქვამის დავიწყება? ან რას შეუშინდა ასე უეცრად ლიბერალთა პარტია? გლეხთა მოძრაობას? მაგრამ გლეხები ხომ ყოველ მოთხოვნილებას იმით ათავებენ, რომ დამფუძნებელ კრებას შეუძლიან მხოლოდ ჩვენის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაო. ისინი სრულ ნდობას უცხადებდნენ დამფუძნებელ კრებას, თუ იგი საყოველთაო და სხვა კენჭის ყრის საფუძვლით იქმნებოდა მოწვეული. მაშ რა უნდათ ერობათა წარმომადგენლებს? მაშ რად დაიხიეს უკან? იმათ რომ ტაქტი და შორს გამჭვრეტელობა ჰქონოდათ, უკიდურესს დასებს ასე მალე არ შეაქცევდნენ ზურგს, რადგან საერთო გზა ჯერ კიდევ არ გაყოფილა. რა ხდებოდა დამფუძნებელ კრებაზედ, ის სულ სხვაა, მხოლოდ მანამდის კი ერთი გზა იყო, თუ-კი ისინი გულ-წრფელი მომხრენი იყვნენ საყოველთაო, ფარულ და სხვა კენჭის ყრისა.

გარდა ამისა გულის ასამღვრევია გუჩკოვის სიტყვა უკიდურეს დასების შესახებ. ის ამბობდა, რომ უკიდურესი დასები ისევე უნდა ვდევნოთ, როგორც ხულიგანებიო. ყველაფერი მოსალოდნელი იყო ბიუროკრატიის ამ მადა-გახსნილ მოძმე ლიბერალისაგან, მაგრამ ამას-კი ვერავინ ვერ იფიქრებდა. ნუ თუ იმდენი დაკვირვება, იმდენი გონებრივი არაქათი აღარა ჰქონია ამ „საზოგადო მოღვაწეს" და იმის დამქაშებს, დაენახა ის, რაც ყველას თვალ-წინ ხდებოდა, რომ ამ უკიდურეს დასთა წარმომადგენელნი, მათი მომხრე სტუდენტობა და მუშა ხალხი იცავდა ხალხს ხულიგანებისაგან? ნუ თუ შორიდან გამოწვდილმა მსუქანმა საპინისტრო ლუკმამ და რბილმა სავარძელმა ისე დაახვია თავ-ბრუ, რომ მან არც კი იცის ის, რაც ყველამ იცის, რომ უკიდურესი დასები მარტო მტარვალებსა სდევნიან და აზრად ხალხის დაცვა და ხალხის პატრონობა აქვთ. თუ ტრეპოვის სიტყვა: „პატრონებს ნუ დაზოგავთო" დღეს ისტორიულ სიტყვად გადაიქცა, გუჩკოვის მოყვანილი სიტყვაც უნდა ისტორიაში ჩაიწეროს ნერწყვ-მორეულ ლიბერალთა ვერაგობის ნიმუშად. და გუჩკოვიც ისევე აგებს პასუხს ისტორიის წინაშე, როგორც ტრეპოვი და მისი კომპანია.

რა თქმა უნდა, ამისთანა სიტყვების შემდეგ უკიდურესი დასები აღარც-კი იფიქრებენ ერობის წარმომადგენლებთან რაიმე შეთანხმებას. მაშ ტყუილი ყოფილა ზოგიერთის აზრი, რომ რუსეთში ლიბერალი მოღვაწეები არ არიანო. ყოფილან ლიბერალები და ნამდვილი ლიბერალებიც ამ სიტყვის უუსაძაგლეს მნიშვნელობით. ეს დღეს გუჩკოვმა დაგვიმტკიცა და ხვალ, ალბად, სხვაც გამოჩნდება. მაგრამ ძლიერია სამაგიეროდ მშრომელი ხალხიც. როგორ გათავდება ახალი ბრძოლა, ამას ახლო მომავალში დავინახავთ.

* * *

შიში ევროპის ბურჟუაზიისა. როგორც სჩანს, რუსეთის ხალხის გამარჯვება არაფრად ეპიტნავათ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას და იმის იდეოლოგებს. მათი სულის კვეთება რომ ამნაირია, ეს ნათლადა სჩანს უკანასკნელ დეპეშებიდან. ევროპის ბურჟუაზიული გაზეთები რუსეთის ხალხს უკიჟინებენ უტაქტიკობას და საყვედურს უცხადებენ, რატომ ვიტტეს ლიბერალურ სამინისტროს მხარს არ უჭერსო. ამგვარად ბურჟუაზიული გაზეთები ჩვენს ბიუროკრატიასავით გაიძახიან: ეხლა კრიტიკის დრო არ არისო, მთავრობამ პატიოსანი სიტყვა მოგცათ, აღიარებულ რეფორმებს განვახორციელებო, და თქვენც ხელი გაუწოდეთ, სოლიდარობა გამოუცხადეთ და ერთად დაადექით შეგნებულ მუშაობასაო.

ჩვენთვის ადვილი გასაგებია დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის აზროვნების ასეთი და არა სხვანაირი მიმდინარეობა რუსეთის რევოლიუციის შესახებ. ხალხის გამარჯვება რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება, შესაფერს ზნეობრივ გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების მშრომელ და ჩაგრულ კლასებზე, უცხოველებს ამ კლასებს ძალ-ღონეს და ჰმატებს მხნეობას ექსპლუატიტორთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ეს კარგად დაანახვეს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას ევროპის ცხოვრების ისტორიულმა ფაქტებმა, ნათლად ჰყო მისთვის რევოლიუციის ძალა, ხალხის გამარჯვება და ამ გამარჯვების საერთო, საზოგადო მნიშვნელობა. „На своемъ молокѣ обжогся, на чужой водѣ дуетъ"-ო, რუსები რომ იტყვიან, სწორედ ზედ გამოჭრილია. სახლში წარსულის გაკვეთილებით შეშინებული ევროპის ბურჟუაზია სცდილობს მიანელოს რუსეთის რევოლიუციის ცეცხლი.

მაგრამ რუსეთის მუშა ხალხი უკვე იმდენად მომწიფდა, რომ ასე ადვილად არ გაებმება იმ ქსელში, რომელშიაც უნდა გააბას ევროპის ბურჟუაზიამ. ასე რომ არ იყოს, მაშ ხალხის ინტერესების რომელი ნამდვილი, წრფელი დამცველი მიმართავს ამავე ხალხს დღევანდელ საქმეთა ვითარებაში ზემო აღნიშნულ რჩევით?

ყველასათვის აშკარაა, რომ კანონიერების განსამტკიცებლად რუსეთში ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა და დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია და მისი ყურ მოჭრილი მონები — იდეოლოგები-კი გვიკიჟინებენ: სოლიდარობა გამართებთ მთავრობასთანო. ბურჟუაზიას კანკალი მოსდის: ღმერთი არ გაუწყრეს რუსეთში ხალხს და მთავრობასთან ბრძოლაში ბევრი არ გაიტანოს, ან სრულებით გამარჯვებული არ გამოვიდეს, თორემ აქაც შეარყევს ჩემს ბატონობასაო. აშკარაა, დიდ საგონებელში ჩაუგდია იგი რუსეთის ხალხის პირველ გამარჯვებას.

* * *

სრულიად რუსეთის გლეხთა კრება მოსკოვში

კრებაზე მისულა 300 კაცი. უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ, მაგრამ არიან ქალებიც, ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილნი. ესენი ვორონეჟის გუბერნიის ორ სოფლის საზოგადოებას გაუგზავნია თავის დელეგატებად. ამავე გუბერნიიდან დელეგატად იყო აფიცერი, რამაც კრება ძალიან გაახარა.

როგორც კამათიდანა სჩანს, კრება შემდეგ აზრს დაადგა:

1. გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა იყოს მშვიდობიანი. აკლება და არეულობა გამოწვეულია მხოლოდ მოხელეთა თავგასულობით და წარმოადგენს მოძრაობის არა სასურველ მხარეს. გლეხობა ბევრგან იქამდის შეგნებულია, რომ იგი სტოვებს ძალ-მომრეობის გზას და შედის სრულიად რუსეთის კავშირში.

2. გლეხობას ესმის პოლიტიკურ თავისუფლების და კონსტიტუციონურ მმართველობის საჭიროება.

დელეგატები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი მიაღწევენ თავიანთ უახლოეს მიზანს — მიწის მშრომელ ხალხის ხელში გადასვლას.

თავმჯდომარემ კურნინმა დაახასიათა კავშირის მოქმედება. კავშირს, სხვათა

შორის, ორგანოს გამოცემაც განუზრახავს. შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ყველანი ფეხზე წამოდგნენ, პოლიტიკურ მებრძოლთა ხსოვნის პატივ-საცემლად და მწუხრად იმღერეს:

„Вы жертвою пали“...

ამის შემდეგ წაიკითხეს ცნობები სხვა და სხვა გუბერნიაში გლეხთა მოძრაობის შესახებ. ამ ცნობებიდან სჩანს, რა სისწრაფით წასულა წინ გლეხთა გათვითცნობიერება.

დონის ოლქის წარმომადგენელმა მაზურენკომ გააცნო კრებას იქაურ გლეხთა მდგომარეობა. გლეხები თურმე თხოულობენ წარმომადგენლობით მმართველობას. ადგილობრივი მოხელენი გლეხებს შეკრების ნებას არ აძლევდნენ, იმათ წინააღმდეგ ყაზახებიც გაჰგზავნეს, მაგრამ ესენი გლეხთა მხარეს გადავიდნენ და ადმინისტრაციამ ვერა გააწყო რა. გლეხთა უმთავრესი მოთხოვნილებანი არის მიწის ყაზახთა ხელში გადასვლა საზოგადო კუთვნილებად (ამ ოლქში უმთავრესად ყაზახები სცხოვრობენ) და წარმომადგენლობითი მმართველობა, ერთ ყრილობაზე ისიც-კი დაუდგენიათ, რომ ყაზახთა ჯარი გააუქმონ და მილიცია დააარსონ. დასასრულ მაზურენკომ მოუწოდა კავშირს საორგანიზაციო მუშაობისთვის და სთქვა, იმედია ას-თავიან გველეშაპს დავძლევთო.

მედვედევმა (ჩერნიგოველების დელეგატი) ილაპარაკა ჩერნიგოვის გუბერნიის გლეხებზე. იქ გლეხობას შეუგნია, რომ მემამულეთა სარჩო-საბადებელის დაწვა და განადგურება თავისსავე ნამუშავრის გაფუჭებაა. ამიტომ ისინი უფრო მშვიდობიან გზას დაადგნენ: ბოიკოტს და სხვას. ორატორის აზრით, საჭიროა კავშირები და ორგანიზაცია, რომ გაღვიძებული გლეხობა მართლა ძალას წარმოადგენდეს.

ბელორუსიაში გლეხობამ მშვიდობიანის საშუალებით აიძულა თურმე მემამულენი დასთანხმებოდნენ იმ საიჯარო გადასახადს, რასაც გლეხობა გადასწყვეტს. როგორც ბელოროსიაში, ისე სხვაგან გლეხობა ძალმომრეობის წინააღმდეგი ყოფილა. ერთ ალაგას, მინსკის გუბერნიაში, მღვდელი სცდილობდა თურმე გლეხები წაექეზებინა და ებრაელთა აკლება გამოეწვია, მაგრამ გლეხობამ ცივი უარი განაცხადა.

ყაზანის გუბერნიაში საქმე უფრო ცუდად ყოფილა შავ-რაზმელთა მეოხებით. ესენი თურმე ხმებს ავრცელებენ, სტუდენტები და ინტელიგენტები ხელმწიფის წინააღმდეგნი არიანო. ამასთან შავი რაზმი და ადმინისტრაცია უმალავენ გლეხობას კონსტიტუციონურ წესწყობილების დედა აზრს. გლეხობას ამიტომ არა ესმისრა და სცდილობს მიწა მაინც ჩაიგდოს ხელთ. მათ მანიფესტის ძალა არა სწამთ და ამბობენ, თუ ყაზახებს მოგვისევენ, დეე მოგვისიონ, ხელმწიფე მაინც გაიგებს ჩვენ მდგომარეობასო.

კრებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია კრონშტადტის ამბოხებასაც და დაადგინა, რომ ჯარის მოუწყობლობამ და იქ გამეფებულმა უმაღლეს პირთა თვითნებობამ რუსეთი უფსკრულამდე მიიყვანა ამანვე დაღუპა მთელი ესკადრა ოკეანეში და ყველა ამან გამოიწვია მატროსთა აჯანყება. გლეხთა კავშირი თანაუგრძნობს მატროსებს და პროტესტს აცხადებს მატროსების სიკვდილით დასჯის განზრახვის წინააღმდეგ.

აფიცერმა განაცხადა, რომ შეიარაღებასა და სისხლის საღვრელად მოწოდება ხალხისა ვნების მეტს არას მოიტანს. საჭიროა მშვიდობიანი მოძრაობა, თორემ ხალხი ზურგს შეგვაქცევსო.

სხვა დელეგატების სიტყვით გლეხებს გადაწყვეტილ აქვთ, რომ მიწა უსათუოდ იმათი უნდა იყოს. ისინი ამბობენ რომ თუ ეხლა არ მოგვცემენ მიწას, გაზაფხულზე ჩვენ თვითონ წავიღებთო. გლეხობას სწამს რომ თავისას გაიტანს.

რეაქციის ნიშნები.

მეტად საყურადღებო ამბებს გადმოგვცემენ საზღვარ-გარეთული გაზეთები. აი რა უცნობებიათ ამ გაზეთებისთვის პეტერბურგიდან.

ამ რამდენისამე ხნის წინად ცარსკოე სელოში მოხდა მინისტრთა საგანგებო კრება. გრ. ვიტტემ განაცხადა, ამ დღეებში გამოქვეყნებული იქნება კანონი იმ ხუთ თავისუფლების შესახებ, რომელიც მანიფესტშია აღთქმულიო. ამასთან გრაფმა სთქვა, რომ მუშათა პარტიამ და სხვა ორგანიზაციებმა სახელმწიფოს ცხოვრება ნორმალურ კალაპოტიდან გამოიყვანეს. პროკლამაციები, რომელსაც ქარხნების მუშები სცემენ, საზოგადოების მშვიდობიანობის დარღვევას გვიქადისო.

შემდეგ წაიკითხეს მთავრობის ის ცნობა. რომელიც ამ ცოტა ხანში იქნება გამოქვეყნებული. მთავრობის ამ ცნობაში ნათქვამია თურმე, რომ არც „კავშირთა კავშირი“ და არც სხვა ორგანიზაცია არ არიან არჩეულნი 70 მილიონ რუსეთის ხალხის მიერ და არც მიუღიათ მათგან მონდობილება ინტერესების დასაცავადაო. საზოგადოდ, კრებამ საჭიროდ არა სცნო ასეთ ორგანიზაციების დაარსება.

ბოლოს მინისტრთა თათბირმა დაადგინა:

1. ყველა ფაბრიკას და ქარხანას წინადედება მიეცეს, გამოაცხადონ, რომ ამიერიდან 9 საათის სამუშაო დღე დაწესდება. ამათ მუშაობა უნდა განაახლონ დანიშნულ დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიხურება 70 ფაბრიკა და ქარხანა და აღარ გაიხსნება იმ დრომდე, ვიდრე საზოგადოებრივ ცხოვრების პირობები არ შეიცვლება. მიტინგები და კრებები ფაბრიკის სადგომში აკრძალული იქნება. თუ ამ დადგენილებას არ დაემორჩილებიან, მაშინ წეს-რიგის დაცვა ჯარს მიენდობა.

2. თუ სამოქალაქო უწყების რვა უმაღლესი სასწავლებელი არ განაახლებს სწავლას დანიშნულ დროს, ეს სასწავლებლები დაიხურება. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალება: პეტერბურგში—დიდ მთავარს ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძეს, პროვინციებში-კი გენ.-გუბერნატორებს.

3. უნდა მოხდეს განსაკუთრებული გამოძიება ყველა არა ლეგალურ ორგანიზაციის შესახებ, რომ გამოირკვეს, ვისგან არიან არჩეულნი და ვისის მინდობილობით მოქმედებენ. ამასთან უნდა შედგეს სია იმ პირთა, რომელნიც ხულიგანების სახელით მონათლეს. ყველა ამათ ქალაქებში ცხოვრება აღეკრძალებათ.

4. პოლონეთს ივტონომია არ მიეცემა.

5. მატროსთა სამსახურის ვადა შემოკლდება.

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი: ჩვენ, ქუთაისის ციხის ტუსაღები, გულწრფელ თანაგრძნობას გუცხადებთ თავისუფლებისათვის მებრძოლ თავგანწირულ გურულებს. თუმცა, სხვა და სხვა პირობების გამო და უფრო დღევანდელ სულთმობრძავ წესწყობილების გავლენით, ამ ჟამად ციხეში გსხედვართ, მაგრამ ჩვენი სრული თანაგრძნობა მაინც მათთან არის. გავიგეთ თუ არა გურულების დაზარალების ამბავი, შევაგროვეთ აქვე ჩვენი წვლილი და გგზავნით თქვენს რედაქციაში ოც მანეთს და 45 კაპ.

ამხანაგების მონდობილობით **დუღია რევაზიშვილი** და **ვლადიმერ კიკნაველიძე**.

შემომწირველთა სია:

ვ. კვერკელია 1 მ., ლ. ქვარიანი 70 კ., პ. მჟავია, მ. კვანტალიანი, ვ. ანდღულაძე, პ. დუტკინი, გ. მორჩაძე, ი. ქილიფთარი, ე. ებრელიძე, კ. სალუქვაძე, ბ. ჩხარტიშვილი, კ. ნიკოლაიშვილი, ათ-ათი შაური., კ. ბოლქვაძე, ბ. დანელია, ორ-ორი აბაზი; ბ. ახალაია, ს. სანაძე, ბ. მარგველაშვილი, ა. სირაძე პ. გიგინეიშვილი, ს. ანდღულაძე, დ. მესხაიშვილი, მ. მამალაძე, ბ. ჭაბუკიანი ექვს-ექვსი შაური; ვ. ჩხეიძე, მ. ქაჯაია, მ. ვარდაშოი, ვ. არაბიძე, გ. აბულაძე, ვ ბურჭულაძე ხუთ-ხუთი შაური; ლ. კიკნაველიძე, ი. ცერცვაძე, მ. ქორქოლიანი, დ. ღამბაშიძე, ი. კოტრიკაძე, ნ. ბარათაშვილი ვ. ქარაბიაკი, არ. ჭაბუკიანი, ს. ახველდიანი, გ. ცხელიშვილი. ლ. ცომაია, ბ. ჯალაღანია ბ. ჯინჭველაშვილი, კ. გოგელია, ბ. არუნოვი, ბ. ხახიაშვილი, ნ. გუჯაბიძე, ბ. ყარაყაიშვილი, ბ. ბალანჩივაძე, გ. მაჭავარიანი, ყ. ქორქიკაშვილი, თ. ქუბლაშვილი, ს. გორდაძე, პ. ლორთქიფანიძე, ბ. დოლიძე, ი. მესხი, ბ. ბერიძე თითო-თითო აბაზი; ი. პაიჭაძე, ა. ტუსაღი გ. მილოროვა, ბ. ოჩამჩირელი, ბ. ლორთქიფანიძე, ბ. თაბაგარი, ბ. ტახოდნიკოვი, ბ. ნაუმჩიკი სამ-სამი შაური; დ. ზარნიძე, ს. ბუაძე, ე. ბორჩხაძე, ა. კასიმ-ოღლი, ზ. ჩიქვილაძე, ა. ბარციცა, ა. ჩალიგავა, გ. მისამიშვილი, ი. იაკობიძე, ი. ლექვინაძე. გ. შენგელია, ლ. ვაჭარაძე, ბ. ჩუბინიძე, მ. ჩალიგავა, ი. ჯიქვაძე, გ. სალაყაია, ი. გაფრინდაშვილი, ბ. გორგიძე, ა. გორგაძე, ორ-ორი შაური; ბ. ბუროძაშვილი, ნ. ჩაჩიბაია, რ. საბაშვილი, ა. ჩაჩიბაია, ც. შურღაია თითო შაური. სულ ოცი მანეთი და ცხრა შაური (20 მ. 45 კაპ.).

ბატონო რედაქტორო!

გიგზავნით ჩვენ წვლილს გურიაში გადამწვარ ოჯახების სასარგებლოდ და გთხოვთ გადასცეთ იგი დანიშნულებისამებრ; შეძლებისადგვარად კვლავადაც ვეცდებით მოგაწოდოთ ჩვენი წვლილი. გულითადი თანაგრძნობა თავისუფლებისათვის გონივრულად მებრძოლთ და ამ ბრძოლაში ძალმომრეობის მსხვერპლად გამხდარ მეზობლებს. ზიზღი მჩაგვრელებს.

ტ. ართმელაძე.

შემომწირველთა სია:

მ. გუგუშვილმა 5 მან., პ. კორძაიამ 3 მ., მ. ჩიკოიძემ 3 მ., ზ. ბოლგაევმა 2 მ., ხ. წერეთელმა 5 მ., დ. ქარცივაძემ 5 მ., და ჩემის მხრით 10 მ. სულ 33 მან.

ბატონო რედაქტორო!

გიგზავნით ოცდა-ცამეტ მანეთს ჩემ მიერ შეგროვილს და გთხოვთ გადასცეთ ბიუროს თავისუფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლთა, ჩვენ თანამოძმე გურულთა ოჯახების სასარგებლოდ.

ოლღა თოფურიძისა.

ბატონო რედაქტორო!

ჩვენ, ტფილისის ფეხზე მოვაჭრეებსაც, აღგვეძრა გულში სიბრალული და მოვიწადინეთ მებრძოლ და დაზარალებულ გურულთ მივაწოდოთ ჩვენი წვლილი თხუთმეტი მანეთი. გაუმარჯოს გურულებს, რომელნიც თავგანწირულად იბრძვიან თავისუფლებისათვის!

ამხანაგების მონდობილებით

დარჩო ღარიბოვი.

მივიღეთ ს. სარაჯევისაგან—3 მ., რ. ჯავახიშვილისაგან, მ. დაფქიაშვილისაგან, ი. ბროძელისაგან, ი. გედელოვისაგან, ფ. ვაშაკიძისაგან, ა. ათაშვილისაგან, ს. გავსოვიჩისაგან და ლ. ბელოჟკოვისაგან—თითო მანათი, კაზოვისაგან—35 კაპ., გოზალოვისაგან—75 კ. და ნავასარტოვისაგან—66 კაპ., ძმ. გალუმოვებისაგან—5 მან., გიორგი ეფრ. ქავთარაძისაგან—2 მ., დომ. თვალჭრელიძისაგან—5 მ., ტ. კახიძისაგან—5 მ., მიხ. და ბაბი მირიანაშვილებისაგან 6 მან., საბა ნარტმელაძისაგან—5 მან., ალ. ხელაიასაგან—5 მან., დიმიტრი სულაძისაგან—5 მ., სილოვან გოგორიშვილისაგან—3 მ. კიპრიზოვმა—1 მ., ვასილ ი. კოდვაშვილისაგან—5 მ.

ამას გარდა გუშინ შემოიტანეს: გეო მანჯავიძემ 28 მანეთი მადათოვის კუნძულის რაზმელთა შორის შეკრებილი; ალიხანოვის ნოქრებმა—16 მან., გორის მაზრის სამეურნეო ამხანაგობის მოსამსახურეებმა—31 მ., ნიკოლოოზ ჯუმუხაძის სამხატვრო სახელოსნოს მომუშავეებმა—26 მ. 15 კ., ნესტორ ტოროშელიძის მიერ შეგროვილი—8 მ. 90 კაპ. და ოტტო მადერის ლუდის ქარხნის მომუშავეებმა—20 მ. 90 კ.

რადგან დღევანდელ ნომერში ადგილი არ არის, ყველა ამ შემომწირველთა სიას სამშაბათის ნომერში გამოვაცხადებთ.

სულ დღევანდლამდე ჩვენს რედაქციაში შემოვიდა 1169 მ. 74 კ.

ახალი ამბავი

✦ **მიტინგები**. დღეს 13 ნოემ~~ოქტო~~მბრისთვის დანიშნულია შემდეგი მიტინგები: სოციალდემოკრატიულ უმრავლესობის ფრაქციისა—ვერაზე—დილით, ამავე პარტიის უმცირესობის ფრაქციისა—ნაძალადევში—დილით; ოქრომჭედლების სახელოსნოების მუშებისა—ნაძალადევში დილით; სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებისა—ვერაზე დილით; 14 ნოემბრისათვის: რკინის გზის გამგეობის მოსამსახურეთა—სახელოსნოების იაფ-ფასიან საჩაიეში ნაშუადღევის 4 საათზე; სასტუმროებისა, რესტორანებისა და რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეთა—ვერაზე დილის 8 ს.; 15 ნოემბრისათვის: ტრაქტირებისა და დუქან-სარდაფების მოსამსახურეთა—ვერაზე, ექიმებისა, ბეითლებისა, აფთიაქის პატრონებისა, ფერშლებისა, ბებია ქალებისა და ფარმაცევტებისა—საექიმო საზოგადოების ახალ სადგომში, საღ. 8 საათზე; 16 ოქტომბრისათვის—დეპოს მაშინისტებისა და მათ თანაშემწეთა.

✦ **სალდათების მოთხოვნილებანი**. გორში ნოვობაიაზეთის და გორის პოლკების სალდათებს, აგრეთვე არტილერისტებს თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ უფროსებისათვის. თხოულობენ: ორი წლის სამსახურის დაწესებას, ზრდილობიანად მოპყრობას, საჭმლის გაუმჯობესებას და ყაზარმების დასასუფთავებლად სხვების დაქირავებას. თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ აგრეთვე ჯარში ახლად გაწვეულთ. იმავე გორში გაფიცულან პოლიციელნი.

✦ **სალდათების წრეს გადასულობა**. 11 ნოემბერს ლაზარევის ქუჩაზე მინავალა მე-4 მსროლელ ბატალიონის სამი სალდათი. სალდათები მთვრალები ყოფილან. ვიღაცებთანაც ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ერთი სალდათი მოუკლავთ. როდესაც როტაში ეს ამბავი გაუგიათ, გამოვარდნილა 30 კაცზე მეტი ლაზარევის ქუჩაზე და შესდგომიან დუქნების და სახლების აკლებას. აუკლიათ ტერ-ალექსეევის და შაქარა გაბრიელოვის დუქნები და გევონდოვის სახლი. პოლიციას დაუძახნია პატრულისათვის, რომელსაც ჰაერში თოფები დაუცლია. ამის შემდეგ სალდათები ყაზარმებში შევარდნილან. რა თქმა უნდა, დუქნები მსწრაფლ დაუხურნიათ და შეშინებული ხალხი აქეთ-იქით მიმალულა.

✦ **ხულიგანების თავგასულობა**. ხულიგანებმა აშკარად დაიწყეს მოქმედება: ესცემიან დუქან-მაღაზიებს და სძარცვავენ. 3 ნოემბრიდან რამდენიმე დუქანი გაძარცვეს. ამ დღეს შეიარაღებულნი დაეცნენ ხეჩოტარასოვს და წაართვეს 75 მან. ამავე დღეს შეიარაღებული ხულიგანები დაეცნენ ზალიკო ახმეტელოვის დუქანს და წაიღეს 250 მან. საქონელი. სიმონ სამადოვს ორჯელ დაუტეხეს ღვინის სარდაფი, გაიტანეს ღვინო და 120 მან. 29 ოქტ. აიკლეს აგრეთვე არტემ ხეჩუმოვის დუქანი და სიმონ ჰედლიძის სასმელების დუქანი. ავჭალის ქუჩაზედ თავს დაეცნენ ვასო მურადოვსა და იმის ბიჭს, ორივეს ყელი გამოსჭრეს და გაძარცვეს. 6 ნოემბერს აიკლეს სერგო ოსიფოვის მაღაზია. 10 ნოემბერს მოჰკლეს რკინის გზის კანტორშჩიკი ჩერნოვი და მრავალი სხვა.

✦ **გასაგზავნ საქონლის არ მიღება რკინის გზაზე**. რადგან ბაქოს ყველა საწყობი და ფარდული საქონლით არის სავსე, ამიერ-კავკასიის რკინის გზამ განკარგულება მოახდინა, რომ 11-დან 14 ნოემბრამდე ბაქოში გასაგზავნი საქონელი არ მიიღონ არც ამიერ-კავკასიის და არც რუსეთის გზებზე.

✦ **თავდამცველი რაზმი**. სოხუმში უკვე შესდგომიან თავ-დამცველ რაზმის შედგენას. მეთაურთ მოქალაქეთათვის მიუმართავთ დასახმარებლად.

✦ **ახალი გუბერნატორი**. როგორც გავიგეთ, ტფ. ვიცე-გუბერნატორი ალიშევსკი ბაქოს გუბერნატორად ინიშნება.

✦ **პირველი გიმნაზია**. ვაჟთა პირველ გიმნაზიის უფროს კლასებში, როგორც გავიგეთ, სწავლა ნოემბრის ბოლო რიცხვებში დაიწყება.

✦ **წარმომადგენელთა განცხადება**. ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ჩვენ, ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიისა, სამხატვრო, მიწის მზომელ, სატეხნიკო, რკინის გზის, საბალოსნო, ფერშლის, სამოქალაქო სასწავლებლების მოწაფეთა დელეგატები, რომელნიც შევიკრიბენით 9 ნოემბერს მოსალაპარაკებლად, პრინციპიალურად ვეწინააღმდეგებით დელეგატთა კრების 7 ნოემბრის დადგენილებას, რადგან ამ კრებაზე არ იყო საკმაო რიცხვი დელეგატებისა და ამას გარდა ხმის შეკრების დროს მონაწილეობა მიიღეს ისეთ სასწავლებლის დელეგატებმა, რომელთაც საკითხის გადაწყვეტაში, ჩვენის აზრით, მონაწილეობის მიღების უფლება არა ჰქონდათ. ვცნობთ ამ კრების დადგენილებას უკანონოდ და ვთხოულობთ დაუყოვნებლივ დაინიშნოს დელეგატთა ახალი კრება, რომელიც გადასწყვეტს საკითხს და ნათლად გამოარკვევს ყველაფერს“.

✦ **სათადარიგო სალდათების დათხოვნა** ჯარში მომხდარ უკანასკნელ ამბებისა გამო გენერალმა მალამამ დაათვალიერა ტფილისის პოლკი და გამოაცხადა, რომ ორშაბათს, 14 ნოემბერს, სათადარიგო ჯარისკაცნი განთავისუფლებულნი იქმნებიანო. გენერალმა გააფრთხილა ჯარის-კაცნი, შინ დაბრუნებისას უწესოება არ ჩაიდინოთო.

ფელეტონი

პატარა მგბი

საჭიროა მომზადება.—ბრძოლა წინ არის.—რას უნდა გამოველოდეთ მთავრობისაგან!—ხალხი ენდობა მხოლოდ თავის ძალას.

თვითმპყრობელობამ გამოაცხადა თავის თავი გაკოტრებულად და 17 ოქტომბრიდან იწყება რუსეთში საკონსტიტუციო ხანა, მაგრამ ჯერ მხოლოდ პატარა ქაღალდზე სწერია თავისუფლება და ჩვენი ვალია, არ მოვსტყუვდეთ ახლო მომავალის შესახებ.

თვითმპყრობელობას არაფრად უღირს იმის წაშლა, რაც ერთხელ დასწერა: იგი არავითარ საქციელს არ მოერიდება, ოღონდ ბატონობა შეირჩინოს და ათას ხვრელში გაძვრება და სიყალბეს ჩაიდენს, სანამ უფლებას აიხდიდეს და დასდებდეს ხალხის წინაშე. თავისუფლების პირველმა შუქმა არ უნდა დაგვათროს და არ დაგვავიწყოს სინამდვილე. გვახსოვდეს მუდამ, ვინცა ბრძანდება ვითომდა ხალხის მოკეთე მთავრობა, რომელიც ჯამბაზობს, ლამაზ-ლამაზს თავისუფალ სიტყვებს გამოისვრის ხალხის გულის მოსაგებად და ზედ ცხელ-ცხელ ტყვიებს მოაყოლებს ხალხის გულის გასაგმირავად.

ხალხი არაფერში არ უნდა დაენდოს, არაფერი არ უნდა დაუჯეროს მთავრობას, თორემ ის მოუვა, რაც მოუვიდა 9 იანვარს. მთავრობას არა აერთებს რა ხალხთან, გარდა სიძულვილისა და მტრობისა. დღევანდელი მთავრობა მაშინ არის ამაღლებული, ძლიერი და ბედნიერი, როდესაც ხალხი გასრესილია, ძლივს ითქვამს სულს და მშიერი და შიშველი აგდია მიწაზე. განა ასეთ მთავრობას უნდა რაიმე სიკეთე ხალხისათვის? რაც ხალხისათვის კარგია, ის ხომ მისთვის მავნებელია? თვითმპყრობელობა თუ გაუცინებს ხალხს, იმიტომ, რომ ამ სიცილის დროს სისაძაგლე ამოისუნთქოს ხალხის თავისუფლების მოსაწამლავად. თუ მიეალერსება და ხელს გადაუსვამს ხალხს თავზე, იმიტომ, რომ თავი გაუხვრიტოს და საწამლავი ჩაუწვეთოს ტვინში. თუ თავისუფლებას გამოუცხადებს ხალხს, იმიტომ, რომ უფრო გააბრიყვოს, ხაფანგი დაუგოს და მეტ განსაცდელში ჩააგდოს.

მას მთელი თავის არსებით ეზიზღება ხალხი და რასაც უნდა აკეთებდეს, რასაც უნდა ამბობდეს, რასაც უნდა აცხადებდეს—ყოველთვის ერთი მიზანი აქვს: ხალხის მოტყუილება, ხალხის დაჩაგვრა და დაღუპვა. როგორ უნდა ენდოს მას ხალხი და განა დაიმსახურა ეს ნდობა თავის ვერაგობით და ბარბაროსობით? ყოველივე კავშირი გაწყვეტილია ხალხსა და თვითმპყრობელ მთავრობას შორის და არასოდეს არ ჩამოვარდება თანხმობა მათ შორის. გადაწყვეტილია: ერთმა მათგანმა უნდა დაუთმოს მეორეს ადგილი. ამაოა ყოველი ცდა, ტყუილია ყოველი მოწოდება, შეურიგებელს ვერავინ შეარიგებს, და რამდენადაც უფრო დაგვიანდება ამ საქმის გადაწყვეტა, იმდენად უფრო მწარედ გათავდება დამარცხებულ მხარესათვის. დღეს თუ წასვლასა და გაცლაზეა მომდგარი საქმე, შეიძლება მალე ისეთი დრო დადგეს, როდესაც არც კი გაუშვებენ წამსვლელს და უსასტიკეს სასჯელს მიუსაჯავენ...

ხოლო ილუზიით და ოცნებით თავს ნუ მოვიტყუილებთ, ნუ ვიფიქრებთ, რომ დღევანდელი ისტორიული დრამა მისით გათავდება და კიდეც თავდება უკვე. დრამა დაიწყო მხოლოდ და ბოროტ გმირებს ჯერ იარაღი არ აუყრიათ, ისინი ჯერ კიდევ სათავეში უდგანან სახელმწიფოს და არა ერთსა და ორს კონტრ-რევოლუციას მოახდენენ, სანამ სრულიად დამარცხებულნი, მუხლმოდრეკილნი შებრალებას მოითხოვენ ხალხის წინაშე. თავისი თავის გაკოტრება გამოაცხადეს იმიტომ, რომ ძალა დაატანეს. მაგრამ ამ გამოცხადების შემდეგ თითქოს გაიორკეცეს შრომა, რომ თავისუფლება კიდევ უფრო შეზღუდონ და წაართვან მოქალაქეს ის უფლებაც, რომელიც მას ჰქონდა 17 ოქტომბრამდის. გამოაცხადეს თავისუფლება და მეორე დღესვე მიუსიეს ბრბო ხულიგანთა ყაზახების და პოლიციელების მეთაურობით თავისუფლებისათვის თავ-გამოდებულ მებრძოლ ებრაელებს. გამოაცხადეს პიროვნების ხელშეუხებლობა და ციხეები და საპყრობილეები სავსე აქვთ გაუსამართლებლად დასჯილებითა და წამებულებით. გამოაცხადეს თავისუფლება კრებისა და ექვსასი კაცი ცოცხლად დასწვეს ტომსკში იმიტომ, რომ ისინი შეიკრიბნენ და თავისუფლად ლაპარაკობდნენ თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ქვეშევრდომი აღიარეს მოქალაქედ, ადამიანად 17 ოქტომბერს და 18-ს თოფებით დახვრიტეს ისინი, ვინც აღტაცებით მიესალმენ თავისუფლების პირველს სხივს. გამოაცხადეს გაზეთების თავისუფლება, მაგრამ დაატუსაღეს გაზეთის თანამშრომლები, აკრძალეს თავისუფალი გაზეთები და ოქმები შეუდგინეს იმათ, რომელთაც გაბედეს თავისუფლად ლაპარაკი. დაგვპირდნენ, რომ დღეიდან ხალხის სურვილი იქნება კანონიო, მაგრამ ისევ მინისტრები ადგენენ ამ კანონებს და უფრო და უფრო აგვიანებენ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევას. ისევ ჩუმ-ჩუმად იგზავნება ცირკულიარები თავისუფალ მოძრაობის ასალაგმავად, მრავლდება ხულიგანების რიცხვი, ძლიერდება სამხედრო წესები, ისევ გამოცქვიტეს ჯაშუშებმა ყურები და გენერლები და გუბერნატორები სულ განაბულნი მოუთმენლად მოელიან იმ ბედნიერს ჟამს, როდესაც მათ დაუბრუნდებათ თავისუფლება ძალ-მომრეობისა და ხალხის აკლებისა.

ასეთი მთავრობისაგან უნდა გამოველოდეთ რასმე? თავის ჯალათისაგან უნდა გამოელოდეს ხალხი სიკეთეს? იმის მსახურთაგან უნდა მოელოდეს სამოთხეში შეყვანას?

* *

ხულიგანები და ავაზაკები მიესიენ ქალაქებს და აიკლეს, გაძარცვეს ყველაფერი. ჩვენი მთავრობა გულდამშვიდებით უყურებდა ამ სეირს და მაშინ, როდესაც „მეამბოხესათვის“ გამოულეველი ტყვია და წამალი აქვს, ხულიგანებისათვის არ გამოიმეტა ერთი ტყვიაც. ეს კიდევ ცოტაა: თვითონ მიუძღოდა ავაზაკების სახელოვანს ჯარს, მიუძღოდა ისე, როგორც ვერ გაუძღვა ნამდვილ ჯარს მანჯურიაში; თავისი პოლიციელები გაახულიგანა (თუ უკვე არ იყვნენ ხულიგანები!), გადააცვა ხულიგანთა ტანსაცმელი და მათი შემწეობით შეადგინა რაზმები. ესეც არ იკმარა ზოგან: მოიტყუილა ხალხი, მისცა შეკრების და სიხარულის გამოცხადების ნება, თვითონაც მიიღო ვითომც მონაწილეობა სახალხო დღესასწაულში, მაგრამ უცბად მიუსია ყაზახები გულუბრყვილო ხალხს და არ შეიბრალა არც ქალი და არც ბავშვი.

და ყველა ამ, მთავრობისაგან შედგენილ დაცემულ ბრბოს, ხულიგანობას და ცარცვაგლეჯას მთავრობა „უწოდებს „კონტრ-რევოლიუციის“ სახელს: ხალხი წინააღმდეგია რევოლიუციისა, ხალხს არ უნდა რეფორმებიო!

მთავრობის სიტყვებიდან გამოდის, რომ უზნეო და გარყვნილი ხულიგანები, პოლიციელები და ჯაშუშები „ხალხია“. ასეთ „ხალხზე“ ამყარებს მთავრობა თავის ძალას და იმედს, ამ „ხალხის“ სახელით უნდა გაამართლოს ყოველგვარი უსინიდისობა და ჯალათობა. ამ „ხალხის“ გულისათვის სწვავს ადამიანებს, ხოცავს ბავშვებს, ძარცვავს მოქალაქეებს, სდევნის ინტელიგენტებს!.. ასეთ მთავრობას უნდა დაუჯეროთ რამე? ვინ იქნება გულუბრყვილო!

ჩვენს ქვეყანასაც გამოუცხადეს ვითომც თავისუფლება, მაგრამ აქაც თავისუფალ მცხოვრებთა სისხლით შეღებეს ტფილისის ქუჩები. სალდათების და ყაზახების წინამძღოლობით გამართეს ჯაშუშების პროცესია მონობის სადიდებლად და შური იძიეს იმ მოქალაქეებზე, რომელნიც შეჰხაროდნენ თავისუფლებას. აღამაჰმად-ხანის შემდეგ პირველად ნახა ტფილისმა ასეთი ხოცვაჟლეტა: არ იყო არავითარი შებრალება, ადამიანური გრძნობის ნასახი, არ დაინდვეს უმანკო ბალღებიც-კი, სალდათებმა და ყაზახებმა აიკლეს და გაანადგურეს ახლომახლო სახლები, გაძარცვეს, დაამსხვრიეს, მილეწეს ყველაფერი! იმაზე მეტს ვერ იზამდა გარედან შემოსეული მტერი, რაც მოიქმედა მთავრობის ჯარმა! არ შეიბრალეს

✦ **სად. ლანჩხუთი.** 9 ნოემბერს, საღამოს 7½ საათზე, როდესაც სახალხო მატარებელი სადგურზე იდგა, მეორე კლასის ვაგონში ვიღაცამ ორჯელ რევოლვერი ესროლა ბათუმის პოლიცმეისტრის თანაშემწეს პორუჩიკს სკვარცოვს. მსროლელი მიიმალა.

✦ **მთავრობის დამცველი:** ვიღაც დავით ყულუმბეგოვს, რომელიც დიდუბეში სცხოვრობს, ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მომეცით ოსების რაზმი შევადგინო წესიერების დაცვაში მთავრობის დასახმარებლადო.

✦ **გაზეთის ხელ-ახლა გამოსვლა.** ბათუმის ოლქში სამხედრო წესების გაუქმების გამო აკრძალული გაზეთი „ჩერ. ვე.“ ხელ-ახლა გამოვიდა.

✦ თიანეთის მაზრის სოფლების ნოჯისა, ნოჯიკეტისა და ფიჭვიანის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ უფასოდ მიეცეთ საძოვარი ადგილები ერწოს სახელმწიფო ტყის აგარაკში. სულ მათ განკარგულებაში ყოფილა მხოლოდ 135 დესეტინა საბალახო ადგილი. რადგან სხვაფრივაც აღნიშნული გლეხები გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილან, სახელმწიფო მამულების გამგეობას მათი თხოვნა დაუკმაყოფილებია.

✦ ამას წინად ბორჩალოს მაზრის სოფელ წინწყაროს სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან ხუთასი მანეთი მისცემოდათ სასოფლო სკოლის დასაარსებლად.

✦ ბორჩალოს მაზრის ხოფელ აკარაკის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეს წყლის მილის გასაყვანად. სულ უთხოვნიათ ამ საგნისათვის 800 მანეთი.

✦ სად. სალიეთი (ქიათურის შტო). ოთხი შეიარაღებული კაცი შევიდა კანტორაში და მოსთხოვა იქ მყოფთ იარაღი. როდესაც დარწმუნდნენ, რომ იარაღი არა ჰქონდათ, უკან წავიდნენ.

✦ გრეკოვი, რომელზედაც გუშინ ვწერდით, „ტ. ლ.“-ში აცხადებს, რომ ტყუილია, რასაც ჩემზე ამბობენო.

ქუთაისის ამბები,

✦ ქუთათური ვაჭრები გაფიცვებით მეტად ბოროტად სარგებლობდნენ და ფასს უმატებდნენ ყოველ გვარ სანოვაგეს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ახალმა თა[illegible]ამ და ვაჭრებს წინადადება მისცა უსამართლო ვაჭრობაზე ხელი აიღოს. მეორე დღესვე ფასი დაუკლეს. ამ ჟამად ნავთი გირვანქა შაურად იყიდება, შაქარი—17—18 კაპ. და სხვა.

✦ როგორც ვწერდით, რეალურ სასწავლის მახლობლად ყაზახები სცხოვრობდნენ. ეხლა ესენი გადაიყვანეს, ხოლო მათ მაგიერ იქ დრაგუნთა ჯარი ჩააყენეს.

✦ როგორც ქუთაისის სახელმწიფო მამულების სამმართველოს ცნობებიდანა სჩანს, ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში 500 ათასი დესეტინა სახელმწიფო მიწა ყოფილა. ას[illegible] მიწები ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს 70 ათას დესეტინას არ აღემატებოდა.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გამარ[illegible] ხელის მოწერა დაზარალებულ გურულთა ოჯახების სასარგებლოდ და მოწოდებით მიმართა ქუთათურ საზოგადოებას.

ᲙᲘᲔᲕᲘ

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

კიევი, 11 ნოემბერი*). მომავალ წლიდან კიევის პოლიტეხნ. ინსტიტუტში მიიღებენ საშუალო სასწავლებლის კურს დამთავრებულ ქალებს. სტუდენტები აცხადებენ, რომ უფასოდ მოამზადებენ ამხანაგ-ქალთ საკონკურსო ეგზამენებისთვის.—როგორც იქნა ნება დართეს კიევში ერთის პოლონურისა და ორის მალოროსიულის გაზეთების გამოცემისა.—აქ დაარსდა პარტია პროგრესიულ კონსტიტუციონალისტებისა.

ოდესსა, 11 ოქტომბერი. გუშინ „ნიკოლოზის“ გემით ბათუმს წამოასვენეს ოდესსაში მოკლულის საბა კლდიაშვილის გვამი.

მიტინგებზე

ლაქიების და კერძო ოჯახების მოსამსახურეთა მიტინგის გაგრძელება 11 ნოემბერს მოხდა ნაძალადევში. ამ დღეს მიტინგს ბევრად ნაკლები ხალხი დაესწრო, მოისმინეს კომისიის მოხსენება. ამ მოხსენებით უნდა დაარსდეს პროფესიონალური კავშირი მზარეულ-მოსამსახურეთა. კავშირმა უნდა დაიცვას უფლებრივი და პროფესიონალური ინტერესები წევრებისა, იზრუნოს მათ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებისთვის და უშველოს საქმის შოვნაში. ხანგრძლივ კამათის შემდეგ დაადგინეს, შესდგეს კავშირი, რომელმაც სოციალ-დემოკრატების პარტიის ხელმძღვანელობით უნდა იმოქმედოს. ამ კავშირის საბჭოში იქნება 25 კაცი. ამ დადგენილების განხორციელება მიტინგმა დაავალა მოხსენების შემდგენელ კომისიას. დასასრულ მიტინგმა დაადგინა ზიზღი გამოუცხადოს კლუბის რესტორანის პატრონს ხოჯანატოვს, რომელმაც რვა მოსამსახურე დაითხოვა, და აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომელთაც უძლატეს კლუბის მოსამსახურეთ და მაგიერ მივიდნენ.

11 ნოემბერსვე საბჭოს დარბაზში მიტინგი გამართეს ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებათა მოხელე-მოსამსახურეთ. მიტინგმა განიხილა საკითხი კავშირის შედგენის შესახებ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელის წინადადებაზე—კავშირმა ამ პარტიის ხელმძღვანელობით იმოქმედოს. ბევრმა უარი განაცხადა, რადგან საერთოდ ეს შეუძლებელია და ამას გარდა უმრავლესობა უკვე ეკუთვნის ამა თუ იმ პროგრესიულ პარტიასთა. მიტინგმა დაადგინა, დაარსოს კავშირი. კავშირის ბიუროში იქნებიან ყველა განყოფილების წარმომადგენელნი.

პატარა ფელეტონი

ახირებული „პატრიოტები“

რუსეთის ბიუროკრატიულ-პოლიციურ თვითმპყრობელობას საძირკველი და საფუძველი შერყა და, დღეს თუ არა, ხვალ წაიოქცევა ეს დახავსებული და დაყანგებული შენობა.

ამ შენობას დიდი ხანია გამოეცალა შეგნებული ინტელიგენცია, მუშათა კლასსი, და ცოტ-ცოტა მიწის მუშაკიც, ესრედ წოდებული გლეხთა წოდებაც, გონებაზედ მოსული და გულის-ხმაში ჩავარდნილი, შორს გაურბის.

შერჩა მხოლოდ ჯარი, აწ საშინაო მტრის მოსაგერებლად გავარჯიშებული, მაგრამ აქაც, ამ ჯარშიაც ალაგ-ალაგ მერყეობის ნიშნებია, რომელიც ცუდს მერმისს უქადის ერის სურვილსა და მისწრაფებას უკანჩამორჩენილს მთავრობას.

უკაცრავად...

ამავე თვითმპყრობელობის დაჭია-მატლებულს სრა-სასახლეს დაქცევა-დამხობისაგან იფარავს ვონება-ბნელი და გაველურებული ყაზახობა და პოლიცია.

ბერს ერი ჩამოშორდა და მარტო კვერთხი-ღა შერჩა ხელში, მისგან ლტოლვილ ერს სამუქაროდ და არა მისდა სამწყსოდ. ჩამოშორდა ერი, რადგან მას თავისებური ბერი უნდა და აწინდელი თვითმპყრობელობის ძუძუთი აღზრდილი ბიუროკრატიული მთავრობა-კი ვერ ამართლებს ხალხურს ანდაზას: „როგორიც ერიო, ისეთიც ჰხამს ბერიო!“

შერჩა მთავრობას პოლიცია და... „პატრიოტები“, ანუ, უკეთ, „პატრიოტად“ წოდებული ხულიგანთა ბრბო, რომელშიაც მრავალნი არიან წვეულ, მხოლოდ მცირედნი, მეტად მცირედნი რჩეულ.

ამ „პატრიოტთა“ ბრბოს ნიღაბი თანდათან ეხდება და აშკარავდება, რომ ეს „პატრიოტნი“, ეს თვითმპყრობელობისა და პოლიციურ მთავრობის მოყვარულნი, ეს სიბნელის გმირნი და ერის კეთილის-მყოფთა მდევნელნი, ორიოდე „ჯამაგირის“ მოთაყვანე მოხელის გარდა, თურმე სულ ტანისამოს-გამოცვლილი პოლიციელები ყოფილან, „დვორნიკები“, უსაქმოდ მოწანწალენი, სხვისის ქონების გატაცების სურვილით აღტყინებულნი ხულიგანნი, თითობოთლ არაყითა და რამდენისამე შაურით წახალისებულნი „თვითმპყრობელობის“ დასაცავად

ტფილისშიაც იჩინა ამ „პატრიოტთა“ მშვენიერმა კრებულმა თავი...

17 ოქტომბრის მანიფესტის ამბავი მოვიდა თუ არა ტფილისში, იმავე წამს აღტაცებულმა ხალხმა, თავისუფლების ჰეშმარიტმა თანამგრძნობელმა, წითელი დროშები აფრიალა და მრავალ-რიცხოვანის კრებებითა მიტინგებითა და სიტყვათა წარმოთქმით იდღესასწაულა „ხალხთ ბორკილის ხმა მტრევისა“...

საკვირველი ის იყო, რომ ამ მანიფესტით ძინებულ თავისუფლების მნიშვნელობა ჩვენმა „პატრიოტებმა“ მხოლოდ 21 ოქტომბერს იგრძნეს და თავისს „ნაგრძნობს“ დარაჯად ხიშტიანი ჯარის-კაცები წარუმძღვარეს წინ და უკან, თითქოს მანიფესტით გამოწვეულს აღტაცებას, მთელის ერის მიერ განაწილებულს, პოლიციელი და დარაჯი სჭირებოდეს.

თავისუფლების ხმამ ამ „პატრიოტთა“ თვითმპყრობელობის მოყვარულ გულამდე მხოლოდ მეოთხე დღეს ჩააღწია და მაშინაც ამ ვითომ-და თავისუფლებით გახარებულს ვაჟბატონებს დარაჯები და პოლიციელები დასჭირდათ თავისუფლების სადღესასწაულოდ.

საბრალო თავისუფლება, ყაზახებითა და პოლიციელებით გარს შემორტყმული!..

მეორე დღესვე გამოირკვა, რომ ეს „პატრიოტთა თავისუფლება“ ის თავისუფლება არ იყო, რომელსაც ქალაქის მცხოვრებნი, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და წლოვანების განურჩევლად, წითელის დროშებითა და „მარსელიეზას“ გალობით მიეგებნენ.

გამოირკვა, რომ ამ ახირებულ „პატრიოტთა“ თავისუფლება უდანაშაულო, მშვიდობიან ხალხის ამოჟლეტა, ბავშვთა ამოხოცვა და სხვათა ქონების დარბევა და გატაცება იყო.

იმათს „თავისუფლების“ მსხვერპლად ადამიანის სიცოცხლე უნდოდა და ზვარაკად შესწირეს მიშა ცირულნიკოვისა, ეკატერინე ვაჩნაძისა და სხვათა მრავალთა უმანკო სიცოცხლე!..

აკლებული გიმნაზია, აწიოკებული მანთაშოვის სახლები, აფორიაქებული „ტფილისის ფურცლისა“ და „ვოზროჟდენიეს“ რედაქციები, ყოვლად უწყინარ და უბრალო ადამიანთა სისხლით მორწყული და მოთხვრილი,—ეს იყო პატრიოტთა „თავისუფლება“, ამას გაუშალეს სამ-ფეროვანი დროშები, ამისად წაიმძღვარეს წინ ხატები, ამისათვის გაიძლოლეს და გაიყოლეს ხიშტიანი ჯარის-კაცები, ცხენოსანი ყაზახები და ქვეითად მიმავალი პოლიციელები, მამა გოროდცევის მიერ დალოცვილ-კურთხეულნი.

ამ „პატრიოტთა“ ჯგუფშივე ერია თურმე ტფილისელი სამი ქვემძრომი ცრუ-ვექილი, სამი უფლებას მოკლებული აბლაკატი—მასლენიკოვი, ზალცმანი და ზეიდალოვი.

პირველს ორს—მასლენიკოვსა და ზალცმანს „პატრიოტული“ სიტყვები წარმოუთქვამს, ხოლო ზეიდალოვს დროშა სჭერია 22 ოქტომბერს და წინ გასძღოლია „თავისუფლების“ სახელით ხალხის ამოსაჟლეტად შეკრებილ ხულიგანთა ბრბოს.

ამას გარდა მასლენიკოვი ჯერ ციხეში მჯდარა ყალბის ქაღალდის შედგენისათვის.

მერე... მერე „ნამესტნიკთან“, გრაფ ვარანცოვ-დაშკოვთან ბრძანებულა „პატრიოტთა“ დელეგატად.

ჰაი და ჰაი!

შთამომავლობით ერთი რუსია, მეორე—ნემეცი და მესამე--ქართველი, მხოლოდ გულით-კი, როგორც ეტყობა, სამივენი კოსმოპოლიტნი უნდა იყვნენ, რადგან ერთნაირად ატყუებენ და ერთ გვარად აბამენ თავიანთ ცრუ-სავექილო ქსელში მდაბიო ხალხს, ეროვნების განურჩევლად.

ამ სამივეს ტფილისში ყველა იცნობს, ვისაც-კი მომრიგებელ-სასამართლოს კარები შეუღია რამდენჯერმე, მეტადრე ზეიდალოვს, რომელსაც ხალხი მეტ სახელად „ძაღლ-ადვაკატას“ ეძახის.

ეს ის ზეიდალოვი გახლავთ, რომელიც სხვისის ქონების გაფლანგვისათვის ვირის აბანოშიაც ბრძანებულა და, ალბად, იქ დაუმთავრებია და დაუგვირგვინებია თავისი სააბლაკატო ხრიკები.

ეს ვაჟბატონია, ამას წინად რომ პოლიციელს ტუსკაევს იცავდა,

ტუსკაევს ის ბრალი ედებოდა, რომ ავლაბრის მოედანზე ვაჭრის დარჩო გალუსტოვისათვის მათრახით ეცემა.

ბევრი ირბინა სამართალში მიცემულმა ტუსკაევმა ვექილის საშოვნელად, მაგრამ ყველამ კარები გამოუხურა.

ტფილისის ვექილებს, მათდა სასახელოდ, გადაწყვეტილი ჰქონდათ დამნაშავე, ხალხის მცემელ და უდიერად მომქცევ პოლიციელთა დაცვა არ ეკისრათ.

დარჩა ტუსკაევი უვექილოდ და ცრუვექილს, „ძაღლ-ადვაკატას“ მიჰმართა.

ხომ მოგეხსენებათ, სადაც ექიმი არ არის, იქ იმათ მაგიერობას ცრუ-ჯანაოზები და მკითხავები ეწევიან.

ზეიდალოვი გამოცხადდა 7 ოქტომბერს ოლქის სასამართლოში ტფილისის ნაფიც და უფიც ვექილთა მიერ უარ-ყოფილ ტუსკაევის დამცველად და შესანიშნავი სიტყვაც წარმოსთქვა.

ალბად ეს სიტყვა იყო მიზეზი, რომ ზეიდალოვს „პატრიოტებმა“ მედროშეობა უბოძეს.

„ტუსკაევსაო, სთქვა თურმე ძაღლ-ადვაკატამ, მარტო გალუსტოვისათვის ხომ არ უცემია, ბევრსაც სხვასა სცემა და ეგ რა წითელი კოჭია, რომ მარტო ეგა სჩივისო“.

„გალუსტოვი ვაჭარია და ქალაქის ვაჭრები-კი ის ბოროტი ელემენტია, რომელმაც ყუმბარებითა, რევოლვერების სროლით, გაფიცვებითა და სხვა ამგვარ „მოძრაობით“ მოინდომა სახელმწიფოს წესების გაუქმება, და პოლიციას მეტი რა დარჩენია, რომ ასეთი ხალხი მათრახით არ გააჭრელოსო“...

სასამართლომ მოისმინა ეს უცნაური მჭევრ-მეტყველობა „ვექილისა“ და ტუსკაევს ოთხის თვით ვირის აბანოში ჩაბრძანება გადაუწყვიტა.

ჩვენის აზრით, კარგი იქმნებოდა, რომ ამ მათრახის მოტრფიალე „პატრიოტისათვის“ ვექილობის სასყიდლადა და ჯილდოდ ორიოდე მათრახი ეცხუნებინათ.

უფრო უკეთ დააფასებდა მათრახის სარგებლობასა და სიკეთეს.

აბა რაღა საკვირველია, რომ ასეთი ნაძირალა ვაჟბატონები, რომელნიც 17 ოქტომბრამდე პოლიციელთა მიერ ვაჭრების გამათრახებას იცავდნენ, მანიფესტის შემდეგ „პატრიოტთა“ ბრბოს დამამშვენებელნი და მედროშენი ყოფილიყვნენ!..

სწორედ რომ ღირსეულნი წევრნი არიან „პატრიოტად“ წოდებულ და აწ „წესიერების კავშირად“ გარდაქმნილ ხულიგანებისა.

ღირსეულნი და... სასარგებლოც!

თუ რომელიმე „პატრიოტი-ხულიგანი“ სამართალში მისცეს, მათ ვექილობას სიამოვნებით იკისრებს ეს სასიქადულო სამება—მასლენიკოვ-ზალცმან-ზეიდალოვისა!..

„წესიერების კავშირი“ და მათრახი, ხიშტი და ტყვია!..

მათრახი წესიერების დასაცველად, ხიშტი და ტყვია—„თავისუფლების“ სადღესასწაულოდ!..

ამითი-ღა უდგას „თვითმპყრობელობას“ სული!

„ტყვია არ დაიშუროთო!“ ტყუილად-კი არა ჰბრძანა რუსეთის დიქტატორად დანიშნულმა ნამყოფმა და აწ სასახლის ასასად დანიშნულმა ტრეპოვმა.

დიოგენი

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ევროპის სახელმწიფოების ჩარევა რუსეთის საქმეებში. პეტერბურგში ხმა დადის, რომ ევროპის სახელმწიფოებმა რუსეთის მთავრობას წარუდგინეს შემდეგი საერთო განცხადება: „ამ ჟამად რუსეთში ანარქიაა. მთავრობა კი, როგორც ეტყობა, უძლურია იმის წინააღმდეგ და არც უნდა, მოქალაქეთა მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ამიტომ სახელმწიფოები იძულებულნი იქნებიან კრონშტადტში ფლოტი გაჰგზავნონ და დაიჭირონ საზღვარზე სიმაგრეები, რადგან რუსეთის შინაგან საქმეების არევ-დარევას უცხოელებისთვის დიდი ზარალი მოაქვსო“. „პეტერ. გაზეტა“ ამბობს, ინგლისმა, გერმანიამ, ავსტრიამ, იტალიამ და შვეციამ რუსეთს წარუდგინეს ნოტა, სადაც ამბობენ, რომ ისინი რუსეთის შინაგან საქმეებში არ ჩაერევიან, მაგრამ, თუ რუსეთში ანარქია გამეფდა, საჭირო ზომებს მიიღებენო.

რადიკალი ეპისკოპოსი. „პეტერბ. გაზ.“ გადმოგვცემს: „18 ოქტომბერს ეპისკოპოსმა ანტონმა პეტერბურგში წირვაზე ხელმწიფე იმპერატორის მოხსენების დროს, გამოუშვა სიტყვა „უთვითმპყრობელესი“. ამის გამო ანტონი სინოდში დაიბარეს, სადაც ანტონმა განაცხადა, რომ ხელმწიფეიმპერატორმა 17 ოქტომბრის მანიფესტით თავის ნებით განაცხადა უარი ხალხის საკეთილდღეოდ თავის თვითმპყრობელ უფლებებზე და გადასწყვიტა. განაგოს სახელმწიფო წყალობითა ღვთისათა და ხალხის ნებისამებრო. სინოდი არ დაეთანხმა ანტონს და დაარიგა, რომ ეშმდეგში არ შესცვალოს ლოცვის ტექსტი. ეპისკოპოსმა უარი სთქვა ამაზე და განაცხადა, ეგ ჩემის სინიდისის წინააღმდეგიაო.

ბავშვი, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა და მუხლმოდრეკილი ევედრებოდა ჯალათებს შებრალებას! გამწარებული მშიერი მგელიც, მხეციც-კი უფრო შემბრალებელი იქნებოდა!..

და ყველაფერს ამას, ამ ავაზაკობას, ძალმომრეობას, სიმხეცეს ჩვენი ადგილობრივი მთავრობა მოურიდებლად, წარბშეუხრელად უწოდებს გმირობას, სიყოჩაღეს და აქეზებს თავის დარაჯებს: კვლავაც ასე მამაცად, თავგანწირულად და სახელოვანად შეასრულეთ თქვენი მოვალეობაო! იქ პეტერბურგში უმაღლეს მთავრობას მაინც რცხვენია, რომ აშკარად დაუჭიროს მხარი ხულიგანების მეთაურებს, ჩვენი ადგილობრივი მთავრობა კი არაფერს არ ერიდება და უსაზღვრო ნდობას და სიყვარულს უცხადებს ხალხის მძარცველებს და მკვლელებს!

გამოგვიცხადეს სამხედრო წესების გაუქმება, მაგრამ მთელი ქვეყანა სავსეა სალდათებით, ტფილისის ქუჩებში დასეირნობენ ჯარის-კაცები, სოფლელებს მოსვენებას არ აძლევენ ყაზახები და წინანდებურად სჩადიან ყოველგვარ ძალმომრეობას.

გამოაცხადეს ადამიანის პიროვნების ხელშეუხებლობა და ჩუმ-ჩუმად ისევ დარაჯობენ აზრს და გრძნობას და ცდილობენ არაფერი შეეპაროს ადამიანს მთავრობის საწინააღმდეგო. ტფილისის ფოსტაში ისევ არსებობს შავი კაბინეტი, რომელმაც უნდა გადასინჯოს ყველა წერილები და დაატუსაღოს, თუ რომელიმე არა-სასურველი იქნება. მოსპეს ცენზურა გაზეთებისა, მაგრამ არსებობს უარესი ცენზურა, ცენზურა კერძო წერილებისა.

გაანთავისუფლეს პოლიტიკური „დამნაშავენი“, მაგრამ ხელწერილები ჩამოართვეს ყველას, არსად გაგვეპაროთო. გააუქმეს ვითომ ჯაშუშობა, მაგრამ ისევ თავის ადგილზეა შირინკინი და მისი კანცელარია. დღეს გენერალი შირინკინი თითქოს არაფერს შუაშია, ყოვლად უდანაშაულოა, არაფერი ბრალი არ მიუძღვის ხალხის წინაშე; იმდენად გალიბერალდა კიდეც, რომ გაზეთებსაც-კი ანგარიშს უწევს, თავის პასუხის ღირსად სთვლის მათ, თავს იმართლებს გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ გვაქვს გარანტია, რომ მაგვარი გენერლები ჩუმჩუმად არ აგროვებენ მასალას, არ იწერენ ყველას ნათქვამს, არ იკრებენ ძალას, არ ემზადებიან და სულგანაბულნი არ მოელიან იმ საათს, როდესაც აეხსნებათ თავისუფლების აღვირი და წინანდებურად დაიწყებენ თარეშობას, ქვეყნის აოხრებას და აკლებას? ამის იმედით სცხოვრობენ დღეს ესენი, ამით უდგიათ სული, სწამთ კიდევ, რომ დაუდგებათ განადგურების დღეები.

რა ხალისით, რა შურისძიებით, რა ენერგიით შეუდგებიან მაშინ ეს ხანები თავის მოღვაწეობის გაგრძელებას! რა მწარედ გაუცინებენ იმათ, რომელთაც დღეს გაზეთშიაც-კი აძლევენ პასუხს! რა სასტიკად დაუწყებენ დევნას იმ მოქალაქეებს, რომლებიც ასე ძლიერ დაეწაფნენ თავისუფლებას! როგორ მალე მოიყვანდნენ სისრულეში თავის განზრახვას: გადავსწვავთ, გადავბუგავთ ყველაფერსო!

**

ასეთ მთავრობას უნდა ვენდოთ? მის დაპირებას აქვს რაიმე ფასი? მისი მოხელეების, გენერლების და გუბერნატორების ხელქვეით უნდა ვიყოთ? მათ ხომ თავის თავის აღდგენა უნდათ და მათი აღდგენა ხომ ხალხის განადგურებაა? არა, ვერავის ვერ დავუჯერებთ. უნდა დავუჯეროთ და დავენდოთ მხოლოდ საკუთარს თავს

დღესავით ნათელია ჩვენი ახლობელი მიზანი, ეს არის: მზად უნდა ვიყოთ ყოველ იმ ხიფათისა და განსაცდელისათვის, რომელიც მოელის გამოცხადებულს და ჯერ არ განხორციელებულს და არ დამკვიდრებულს თავისუფლებას. ვიმეორებ: ჩვენი თავისუფლება ჩვენი ძალაა. იმდენად ვართ თავისუფალნი, რამდენად ძლიერნი ვართ. ყოველ წუთს უნდა მოველოდეთ ათასგვარ ძალმომრეობას დღევანდელ მთავრობისაგან. სანამ ის სდგას თანამედროვე წესწყობილების სათავეში, ხალხის თავისუფლება არაფრით არ არის უზრუნველყოფილი. სანამ ერთიან არ გამოიცვლება მთავრობა, სანამ გადაყენებული არ იქნება ყოველი მოხელე, დიდი და პატარა, მანამდე არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თავისუფლება არსებობს. ხალხს შეუძლია დაწყნარება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ხელთ ექნება შეურყეველი გარანტიები და ეს ექნება, როდესაც ყველგან ჩააყენებს თავის კაცებს, როდესაც განხორციელებული იქნება სრული ბატონობა ხალხისა, დამკვიდრდება ნამდვილი ხალხური მთავრობა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს, რომ ხალხი ეკუთვნის მხოლოდ თავის თავს და არავის არა აქვს უფლება, იყოს ხალხის მბრძანებელი და ბატონი.

რევოლიუცია დაიწყო ამის გადასაწყვეტად, მაგრამ ჯერ კი არ არის გადაწყვეტილი. გვახსოვდეს ეს და გვახსოვდეს მისი დავალებაც. ის მოიგებს, ვინც ძლიერია და ხალხის გამარჯვება დამყარებულია ხალხის სიძლიერეზე. გულთმისნობა არაა საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ თვითმპყრობელობას ვერავინ იხსნის. მაგრამ მისი დამარცხება არ შეიძლება მარტო იმით, რომ ვუძახოთ „ძირს!“. საჭიროა ბრძოლა და იმდენად უფრო ადვილი იქნება ეს ბრძოლა და მოსაგები ხალხისათვის, რამდენად იგი—ხალხი—უფრო მომზადებული, გაწრთვნილი და დარაზმული იქნება ბრძოლისათვის.

რევოლიუციის ბატონს—მუშა ხალხს, რომელსაც ისტორიამ დააკისრა დიდებული საქმე კაცობრიობის განთავისუფლებისა, მებრძოლ პროლეტარიატს და მიწის მუშა გლეხკაცობას ერთი პრაქტიკული მიზანი აქვს დღეს დახატული წინ: ეს არის მომზადება ბრძოლისათვის. გამარჯვებულია მხოლოდ მომზადებული მუშა ხალხი. ასეთი მომზადებული ხალხი განახორციელებს თავის პოლიტიკურ მისწრაფებას—დაამყარებს დემოკრატიულ და ფედერატიულ წესწყობილებას, გადასცემს მიწას მიწის მუშებს და მოახდენს იმ აუცილებელ ეკონომიურ რეფორმებს, რომლებიც შეუმსუბუქებს შრომას პროლეტარიატს—ქალაქის მუშებს, მისცემს მათ მეტ დროს, მეტს ხელფასს, უკეთებს ბინას, აამაღლებს გონებრივად, გაამაგრებს ფიზიკურად და გაუადვილებს ბრძოლას სოციალიზმის განსახორციელებლად.

მუშა ხალხის გამარჯვება დამოკიდებულია ასეთ შეიარაღებაზე და დრო არ არის დაგვიანებისა. ყოველი წუთი ძვირფასია და მთელი ძალღონე მიმართული უნდა იქნეს ერთი მიზნისკენ: დაუყოვნებლივ შესდგეს კავშირები, რაზმები, მილიციები. ამაშია ხსნა, ამაშია ძალა და ყოველი ხალხის მოკეთე ამაში უნდა დაეხმაროს მას. ყოველი მხრიდან მიაწოდეთ ხალხს, რაც ყველაზე უფრო სჭირია მას. ხალხი მებრძოლია, დაეხმარეთ, ხალხის მეგობრებო, მოიპოვოს ბრძოლის საშუალება! დაგვიანების დრო არ არის, ყველაფერს მოიპოვებს ხალხი, თუ ძლიერი და მომზადებული იქნება, და ყველაფერს დაჰკარგავს, თუ საკუთარ ხელების მეტი არაფერი ექნება!.

სურათი სისხლით შეღებილ ქუჩისა, ცოცხლად დამწვარი ადამიანისა, უმანკო ბავშების დახვრეტისა აღარ წაიშლება. იგი გვაგონებს, რომ შეიძლება მისი განმეორება, შეიძლება უარესიც. კაცობრიობა, თავისუფლება, სამართალი, განვითარება, ბავშვთა, უძლურთა და მოხუცთა სიცოცხლე—რევოლიციონერ მუშა ხალხის ხელშია. მებრძოლმა პროლეტარიატმა და მებრძოლმა გლეხობამ უნდა დაიცვას ყველა და ყველაფერი. ამ მუშა ხალხის დროშის გარშემო უნდა შეიკრიბონ ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის ბედი და იღბალი. მასთან ვპოვებთ სამართალს, მისგან დამყარდება თავისუფლება. თვითმპყრობელობა მალე გაჰკმინდავს ხმას და რაც უნდა იტრიალოს და დაიგრიხოს, რაც უნდა ბევრი მოუწოდოს ხულიგანებს, პასუხს აგებინებს სამსჯავროს წინაშე. მუშა ხალხის ვალია ქვეყანაზე სამართლიანობის, თავისუფლების, თანასწორობის და ერთობის დამყარება. და მით უფრო მალე განახორციელებს ამას, რამდენად უფრო შეგნებული იქნება და მასთან რამდენად გამზადებული იქნება ბრძოლისათვის. ეს ბრძოლა სჭირია მას განსაკუთრებით დღეს, დღეს ძალით უნდა მოიპოვოს და დაიცვას თავისუფლება.

სიტყვა

---

*) დაგვიანდა ტელეგრაფის გაფუჭების მიზეზით.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 ნოემბერი

მოსკოვი, 11 ნოემბერი. ერობათა და ქალაქების მოღვაწეების სიეზდმა მიიღო საყოველთაო საარჩევნო უფლება, დამფუძნებელი კრება-კი უარ-ჰყო, სცნო რა უპირატესობა სახელმწიფო სათათბიროსი დამფუძნებელ ფუნქციით. სიეზდის ბიუროს განზრახვა აქვს, უარ-ჰყოს დე-რობერტის მიერ შეტანილი შენიშვნა, რომ ამნისტია არ შეეხოს ყლეტა-ხოცვაში დამნაშავეთ, მას უნდა ამ საკითხის გადაწყვეტა სათათბიროს მიანდოს. ბიურო თანაგრძნობით მოეპყრო იმ განსაკუთრებულ კანონების გაუქმების საკითხს, რომელნიც სტანჯავს სხვა და სხვა ეროვნებათ.

ირკუტსკი, 10 ნოემბერი. სოფ. ალექსანდროვსკაში, ირკუტსკის ახლო, სადაც კატორგის სატუსაღოა, ადგილობრივ კამანდის მთვრალმა სალდათებმა დაანგრიეს ორი საწვრილმანო და დასწვეს ყაზარმა. მშფოთვარე სალდათების წინააღმდეგ სამხედრო ძალა იხმარეს. არიან მოკლულ-დაჭრილები. სიმშვიდე აღდგენილ იქნა.

სტამბოლი, 11 ნოემბერი. ოსმალებმა სალონიკში მანიფესტაცია გამართეს. გაანადგურეს რამდენიმე დუქანი. მეორე მანიფესტაცია მონასტირში გაიმართა. ინგლისის საკონსულოს წინ ბრბო უსტვენდა.

ვენა, 11 ნოემბერი. გრაფ გოლუხოვსკის წინადადებით სახელმწიფოები კოლექტიურ განცხადებას წარუდგენენ ბალკანეთის სახელმწიფოებს, რომ მათ საზღვარ მანიფესტაცია მშვიდობიანობის დარღვევის საბაბათ არ მიიღონ. ამ ნაბიჯს მიზნათ აქვს ხელი შეუწყოს გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლას, ვინაიდგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბალკანეთის ხალხები აუჯანყდებიანო.

11 ნოემბერი.

მოსკოვი, 11 ნოემბერი. გუშინდელ სხდომაზე ერობათა და ქალაქების მოღვაწეებში 174 კაცმა მხარი დაუჭირა პირდაპირს არჩევანს, 32 ორ-კეცს, 28-კი არეულს. დამფუძნებელ კრების მოწვევა უარჰყო 137, კაცმა წინააღმდეგ 90-ისა. ხალხის წარმომადგენელთა პირველ კრებისთვის დამფუძნებელ ფუნქციის მინიჭებას მხარი დაუჭირა 199 კაცმა, წინააღმდეგ 23-სა. მიღებულ იქნა მთელი მეორე ნაწილი რეზოლიუციისა. შემდეგ ისჯა-ბაასეს იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა მიიღონ ქვეყნის დასამშვიდებლად. ხვალ პოლონეთის საკითხს გაარჩევენ. გაფიცულებმა დაანგრიეს ბოსტანჟოგლოსა და აბრიკოსოვის ფაბრიკები, გავრიკოვის შესახვევში ცხენის რკინის გზის ვაგონები გადააბრუნეს, კრასნოსელსკის ქუჩაზე ღვინისა და არყის საგაჭროები და ტრაქტირები დააწიოკეს.

ვარშავა, 11 ნოემბერი. საღამოს 7 საათზე სადგურ ნასოლსკისა და გენსოცინს შორის, გლავის გზაზე ერთმანეთს დაეჯახნენ საქონლის მატარებლები, რომლების ვაგონები გაჭედილი იყო ხალხით. ბევრი დაიხოცა და დაიჭრა.

კელცი. ზოგიერთ ადგილებში მცხოვრებლები გადასახადის მიცემაზე უარს ამბობენ. გაანადგურეს კელცის საგმინო სამმართველო და ღვინის დუქანი სტოპნიცკის მაზრაში. გენ.-გუბერნატორმა განმარტა, რომ ის ჯარიმა, რომელიც ებრაელის ოჯახს დაედება სალდათობაზე უარის თქმისთვის, დაუყოვნებლივ უნდა გადახდეს სულ ერთავადო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 ნოემბერი

ლონდონი, 10 ნოემბერი. რუსეთში დაწიოკებულ ებრაელების სასარგებლოდ 205 ათასი გირვანქა სტერლინგი შეკრიბეს. საზოგადო აზრი ისეთია, რომ პორტას ჯიუტობას ხელს უწყობს რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ამბები. „ტან“-ი წინასწარმეტყველობს, მაკედონიაში რევოლიუცია მოხდება და ბულგართა და ოსმალთ შორის — ომიო. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, ბალფური სამსახურიდან გასვლას აპირებსო. ახალ კაბინეტის შედგენა ლიბერალებს მიენდობა. პარლამენტი მოკლე ხანში შეიკრიბება და შემდეგ საზოგადო არჩევნები მოხდება.

მოსკოვი, 10 ნოემბერი. გაიფიცა მეორე საზოგადოების ტრამვაი. მოსკოვის ხელზე მოსამსახურეებმა კავშირი დააარსეს და მოითხოვეს სარეკომენდაციო კანტორების გაუქმება.— ფოსტა-ტელეგრაფის ოლქისა და ტელეფონის სადგურების მოსამსახურეები შეუერთდნენ ფოსტა-ტელეგრაფის კავშირს.

მოსკოვი, 10 ნოემბერი. სიეზდის სხდომამ მოანდომეს რეზოლიუციაზე კამათს. რეზოლიუცია შეიმუშავეს. გრაფმა გეიდენმა წინადადება შეიტანა, დაარსდეს სამინისტროსთან ყველა პარტიების კოალიციური კომიტეტი. როდიჩევმა მხარი დაუჭირა უმეტესობის პარტიის კომიტეტის დაარსებას. გუჩკოვმა, სტახოვიჩმა და თ. გოლიცინმა საზოგადოებრივ ძალთა დახმარება შესთავაზეს მთავრობას თანხმად 17 ოქტომბრის მანიფესტისა; ესენი წინააღმდეგნი არიან დამფუძნებელ კრებისა. კოსტრომელი სავთოვი მხარს უჭერს დამფუძნებელ კრებას. ხარკოველმა კუზეროვმა წინადადება მისცა სიეზდს, მხარი დაუჭიროს მთავრობას. პეტერბურგელმა ლიხაჩევმა სთქვა, პროტესტი განვაცხადოთ საერთო გაფიცვის წინააღმდეგ, რომელსაც ცალკე ჯგუფთა კერძო ინტერესები ექნებათ. გუჩკოვი პროტესტს აცხადებს უკიდურეს პარტიების წინააღმდეგ; ეს პარტიები აჯანყებას ჰქადაგებენო,—სთქვა მან,—მათ შეუძლიათ აჯანყება მოახდინონ, გერმანიის ჯარი-კი იქვე საზღვარზე დგას და, თუ აჯანყება მოხდა, მონაწილეობას მიიღებს ჩაქრობაშიო. ენისეისკელი კარაულოვი, ყოფილი რევოლიუციონერი, სატუსაღოებში მჯდარი, კატორგაში ნამყოფი, ეწინააღმდეგება დამფუძნებელ კრებასა და ხმის პირდაპირ მიცემას არჩევნების დროს. ბიუროს რეზოლიუციაში შეაქვს მოთხოვნა, რომ ყველა მინისტრები, გარდა სასახლისა, დაემორჩილონ მინისტრთა საბჭოს. საათის 5-ზე წაიკითხეს სრული რეზოლიუცია და შეუდგნენ კენჭის ყრას. რეზოლიუციის პირველი ნაწილი მიღებულ იქნა 20-ის ხმის უმეტესობით, მეორე ნაწილის შესახებ-კი ჯერ სადავო საკითხებს უყარეს კენჭი. პირდაპირი ხმის მიცემა მიღებულ იქნა ორმესამედ ხმის უმეტესობით. სხდომა შეწყდა საღამოს 10 საათამდი.

პეტერბურგი. 7 და 8 ნოემბრის განმავლობაში პოლონეთში ხოლერით კიდევ გახდა ავად 11 და გადაიცვალა 2 კაცი.

ყველა სამინისტროში დიდ ცვლილებებს მოელიან. განზრახულია შეამცირონ მოხელეთა თანამდებობანი და თითოეულ მოხელეს დააკისრონ პირდაპირი პასუხის მგებლობა. ყოველ მოხელეს თავისი საკუთარი საქმე უნდა ჰქონდეს, როგორც გერმანიის კანცელარიებშია შემოღებული და ანგარიშების მძლეველიც თვითონვე უნდა იყოს თავის მოქმედებაში. მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოქმედების გასაძლიერებლად მოხელეებს დრო გამოშვებით ჯამაგირები მოემატებათ. ამგვარმა რეფორმამ უნდა მოსპოს კანცელიარული ფორმალიზმი. დროებითი კანონი ბეჭვდითი სიტყვისა საზოგადოდ საპასუხისმგებლო წესით უნდა იქმნას სასამართლოს წინაშე ბეჭვდით ჩადენილ დანაშაულობისათვის. როგორც ხმაა, მინისტრთა საბჭომ გააუქმა გამომცემელთა მიერ გირაოს შეტანის წესი. განცხადებითი წესის შესახებ საბჭომ დაადგინა, რომ განცხადების ორის კვირის შემდეგ შესაძლებელია გამოიცეს დაწყება, თუ რომ ამ ვადის განმავლობაში შესაწინარებელ მიზეზთა გამო არ იქნება იგი აკრძალული.

იმ ადგილებიდან, სადაც [illegible] მდგომარეობის დროის წესებია გამოცხადებული, აუარებელი შუამდგომლობა და საჩივარი მოსდის მინისტრთა საბჭოს ადგილობრივ სამხედრო უფროსების მოქმედებათა შესახებ. უმეტესი ნაწილი ამგვარ საჩივარ-შუამდგომლობისა უყურადღებოდ რჩება, რადგან გენერალ გუბერნატორები არ იმყოფებიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მორჩილების ქვეშ. იმ მდგომარეობაში, რომელიც დაარსდა ამჟამად სახელმწიფოს უმაღლეს სამმართველოში, ცალ-ცალკე მინისტრები და საბჭოს თავმჯდომარე სრულიად უღონონი არიან ალაგმონ თვითნებობის დროის წესზედ ადიარებულ მხრის მოხელეთა მოქმედებანი.

პეტერბურგის ბირჟა 12 ნოემბ. 1905წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	--
ლონდონისაზე ჩეკები.	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼---7½
4% სახელმწიფო რენტა	87⅛
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	451½
5% მე-2 შინ. ს. მომ. ბილ. 1866 წ.	346½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **„სხივის“** ამხანაგობის გამოცემული **პირველი წიგნი** ივ. გომართელის

ჯუზეპე გარიბალდი

ფასი ორი შაური

ვინც ნაღდად ოცს ცალსა და მეტს იყიდის, დაეთმობა: ტფილისში 6 კაპ., ტფილის გარეთ გაგზავნით 7 კაპ.

წიგნის საწყობი—„ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილ. ქ. № 5. (10—6. 5)

✦ კბილები ✦

კილებ, პლომბას ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—15).

ქუთაისში

სამ. ბ. თიღუურიას **სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

!! ერიდეთ ფალსიფიკაციას !!

ჰიგიენური საპონი

ბორნო-ტიმოლისა,

პროვიზორის

ი. ფ. იურგენსისა

სპობს ჭორფლსა, ყოველგვარ მუწუკს, სიყვითლესა და დანის დამწვრობას; მოქმედობს მეტის მეტ ოფლიანობის წინააღმდეგ. მშვენიერის სურნელების საუკეთესო სატუალეტო და მაღალის ხარისხის საპონია **ოქროს მედალი, ლონდონში 1893 წელს**

ერთი ნაჭერი ღირს 50 კაპ., ხოლო ნახევარი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა, სააფთიაკო და საპარფიუმერიო მაღაზიაში.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის **გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში.** (მც. 14—11)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.

ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.**

(წლ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

საამდროვო წიგნები

Лили Браунъ.	Женщина и политика	8 к.
Вильямъ Ривсъ.	Женское избирательное право	15 к.
Ѳ. Курти.	Исторія народнаго законодательства и демократіи въ Швейцаріи	1 р.
Лили Браунъ-Глысицкая.	Положеніе женщины въ настоящемъ и будущемъ соц. сроѣ.	10 к.
А. Колонтай.	Къ вопросу о класэовой борьбѣ	10 к.
Ж. Боніэ.	Ростъ соціализма въ Соедин. Штатахъ	10 к.
П. Юткевичъ.	Объ избирательномъ правѣ	7 к.
Я. Ч.	Аграрный вопросъ въ Россіи съ маркс. точки зрѣнія	10 к.
С. Вебба и Х. Коксъ.	8-ми часовой рабочій день. Переводъ Д. Муратова	1 р. 25 к.
В. Базаровъ.	Трудъ производительный и трудъ, образующій ценность	40 к.
С. Сигеле.	Преступная толпа Опытъ колективн. психологіи	30 к.
Робеспьеръ.	Рѣчь. Всеобщая подача голосовъ	10 к.
Л. Зайденманъ.	Правовое положеніе евреевъ въ Россіи	10 к.
Э. Бернштейнъ.	Развитіе формъ хозяйственной жизни	10 к.
Проф. Т. Массарикъ.	Критика марксизма	10 к.
Св.	Трудъ и Капиталъ. Первон. свѣд. по политической экономіи	10 к.
Г. Іеллинекъ.	Плюральное избирательное право	12 к.
Проф. Ю. С. Гамборовъ.	Политическія партіи въ ихъ прошломъ и настоящемъ	10 к.
Б. Баксъ.	Великая французская революція	15 к.
С. Русовъ.	Какъ болгары добыли себѣ свободу	6 к.
Проф. А. МиклаАевскій.	Стачки и соціальный вопросъ. Право стачекъ	30 к.
А. Гамильтонъ	и сѣверо-американская конституція	10 к.
Е. И. Булгакава.	Японія и Японцы (2-е изд. дополненное)	20 к.
А. Бокова.	Англія и англичане ихъ прошлое и настоящее	15 к.
Дикштейнъ.	Какъ люди живутъ. (Кто чѣмъ живетъ)	3 к.
Н. Корѣевъ.	Французскіе политическіе писатели XVIII в.	10 к.
Ю. Лавриновичъ.	Рабочіе союзы	50 к.
Н. Щепкинъ.	Земская и городская Россія о народномъ представительствѣ	10 к.
Ольстонъ	Краткій очеркъ современой конституцій	15 к.
В. В. Водовозовъ.	Всеобщее избирательное право на Западѣ. Второе перераб. изданіе	5 к.
С. Прокоповичъ.	Аграрный вопросъ и аграрное движеніе	10 к.
С. Котляревскій.	Совѣщательное избирательство	4 к.
Дж. Берхли.	Трактатъ о началахъ человѣческаго знанія. Пер. ред Дебольскаго	40 к.
Гезп.	Благотворительност	2 к.
Л. Буржуа и А. Метэнъ.	Основы государственнаго устройства Франціи. (Декларація правъ человѣка и гражданина)	10 к.
Феликсъ Гра.	Марсельцы. Повость. изъ временъ французской революціи	25 к.
Н. Карышевъ.	Экономическія бесѣды	15 к.
А. Т. Бакурцевъ.	(А. Нѣдровъ). Какъ выбирать народныхъ представителей	1 к.
С. Вржосенъ.	Основы государственнаго устройства	7 к.
Ж. Жорєсъ.	Идея мира и солидарность пролетаріата	12 к.
Н. Дубровскій.	Очерки по исторіи 30 и 40 годовъ XIX ст. въ зап. Европѣ. Франція іюль 1830 г.	7 к.
Ф. Повленковъ	Энциклопедическій словарь. 2-ое исправленное изданіе	3 р.
	Собраніе конституцій: Авсвріи—Австро-Венгріи,—Венгріи.—Англіи,—Соед. Шт.	30 к.
	Что такое рабочій день?	8 к.
Гедъ, Лафаргъ, Вальянъ.	Біографическій очеркъ.	5 к.
Фридрихъ Энгельсъ.	Его жизнь и дѣятельностя	6 к.
	Рабочій вопросъ въ прошломъ и настоящемъ. Очерки по каутскому и др.	20 к.
ა. წულუკიძე.	ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან	50 კ.
კლარა ცეტკინა.	დედა-კაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა თარგმანი	20 კ.
კ. კაუტსკი.	ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი საფრანგეთის წარსულიდან თარგ.	20 კ.
ნ. რაიჰესბერგი.	მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში თარგმანი	15 კ.
კ. მარქსი.	ვაჭრობის თავისუფლება თარგმანი	10 კ.
ბოკლი.	ცივილიზაციის ისტორია ინგლისში თარგმანი	50 კ.
ქ-ნი შტარის წერილები.	ჩვენს ქალებს თარგმანი	20 კ.
ვ. ლუნკევიჩი.	დედამიწა 22 სურათით თარგმანი	15 კ.
ი. ბელოკონსკი	ერობა და თვით-მმართველობა თარგმანი	10 კ.
შიგუევი.	თანამედროვე ქვეყნიერების მოწინავე კუთხე თარგმანი.	60 კ.
	გიორგი ვაშინგტონი (ამერიკის განმათავისუფლებელი) თარგმანი	30 კ.
ე. ფერერი.	დარვინიზმი ცხოველთა და მცენარეთა წარმოშობის შესახებ წიგ. პირ.	20 კ.
„	„ ევოლუციონური თეორია ადამიანის წარმოშ. შესახ. წ. მ.	15 კ.
ი. გომართელი	შილლერის პოეზიის ძირითადი თვისებანი	20 კ.
პ. სურგულაძე	ეროვნული ენა	15 კ.
დ. ჭონქაძე.	სურამის ციხე	15 კ.
ი. იმედაშვილი	უცხო სიტყვათა ლექსიკონი	1 მ.

ზემოხსენებულ წიგნების გაწერა შეიძლება ფასდადებით (наложн. платеж). წიგნის მაღაზიის ადრესი: ქ. ტფილისში კიროჩნი ქ. № 7. (Кирочная ул. № 7), **В. Гадилія**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს **1860** წელს

რეზინის კალოშების

ყიდვის დროს, სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას.

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად გაჭრობას აწარმოებს საგაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

Магазинная вывѣска
Рисунокъ утв. Отд. пром. и торг.
М. Фин.

фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მაშინები ზინგერის ამხანაგობისა

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედ წარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. სახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ ნაწილ შემოტანით, კვირაში თითო მანეთიდან. (25—20).

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.